

# თეატრი

სამედიკო-კრიტიკული გაზეთი

ფასი წლის დამლევაშის 3 მან.; სუთი თვით 2 მან. | 1877—1906 | ადრესი: ქუდიისი, ფრეილინის ქ., № 5. ტელეფ. № 922.

**სარჩენი:**—ცოტა რამ ქართულ თეატრზე, მეგობრისა.—პატარა ფიქრები, ა—ლისა.—საქართველოს საკითხი რუსეთში, კ—ისა.—სათობირო და ვაზ. „ლამპარი“, სვ. შ—შვილისა.—რუსეთის ცხოვრებადან, გ—ისა.—ნაწყვეტი, (ლექსი) დ. თომაშვილისა.—გოდება თანამედროვე წინასწარმეტყველისა, (ლექსი) ვაჟა-ფშაველასი.—აგრარული რეფორმები ირლანდიაში, მ—ი ა.—დაბრუნდა! სვ. ყიფიანისა.

### ცოტა რამ ქართულ თეატრზე.

თეატრის სეზონი გათავდა. ქართულმა თეატრმა, როგორც იყო, გააჩანჩალა თვეები და დაიშალა, როგორც დაიშლება ხოლმე ყოველ წელს: ქრონიკულ დეფიციტით და ცარიელ კასსით, რომელთაც უკვე დიდი ხანია თავი გაკოტრებულად აღიარა და არტისტებს დააკლო ის გროშებიც კი, რომლითაც მათ ასაზრდოვებდა.

არტისტები დაიშალენ, ჯავუგებდ დაიყენენ, ზოგი მარჯნივ წაიდა, ზოგი მარცხნივ და ამ გვარად ეძებენ საზრდოს, როგორც თავისთვის, ისე თავის ოჯახებისთვის. გაივლის ზაფხული, დადგება შემოდგომა, დრამატიული საზოგადოების გამეგობა ვაი-ვაგლახით მოუყრის თავს გაფანტულ არტისტებს, დაიწყებს სეზონს და სეზონი ისევე გათავდება დეფიციტით და ცარიელ კასსით.

ასე და ამგვარად ტრიალებს ჩვენი თეატრის ჩარხი და მისი სიჩქარე არც იმატებს, არც იკლებს. ჩარხის ღერძი კი ცვდება. თეატრის დღეები დათვლილია, სხეული მისი დასწეულბულ-დაუძლეულბულია და მას ეჭირვება სერიოზული ოპერაცია და არა ის „წამლები“, რომლებსაც თეატრს ასმევეს დრამ. საზოგ. გამეგობა და, როგორც გულკეთილი. მაგრამ უფიცი ექიმი, არც არჩენს და არცა ჰკლავს.

ღიახ, ოპერაციაა საჭირო. ოპერაციისთვის კი საჭიროა ავადმყოფობის გამოკვლევა, შესწავლა, გამოცნობა და უებარ წამლის გამოგონება.

აქ ჩვენ ვერ დავიტრახებთ, რომ ავადმყოფობასაც კარგად გამოვიკვლევთ და უებარ წამლსაც გამოვძენით. ჩვენ ვიტყვით მხოლოდ ჩვენს აზრს და ამით იმედი გვაქვს გამოვიწვევთ თათბირზე მკოდნე პირებს. რომლებიც გარკვევენ საქმეს, უბედურობის მიზეზს იპოვიან და ამ ფრიად სასარგებლო და საჭირო დაწესებულებას ფეხზე დააყენებენ.

რად მიდის ჩვენი თეატრის საქმე ასე ცუდად? რა მიზეზია, რომ ასე დასწეულდა, რატომ ვერ გასწორებულა წელში ჩვენი თეატრი? ყველა ამ უბედურობის მიზეზი არის „საზოგადოება“, მისი გამეგობა, თვით არტისტები, მაგრამ უწინარეს ყოვლისა თეატრის მატერიალური მხარე.

თუ მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი თეატრი, თუ ჩვენი თეატრის არტისტი ნახევრად მშვიერ-მწყურვალე არ იქნება, თუ მის შრომას ღირებული ფასი დაედება,

თუ ის ხელოვნების გარდა თეატრს შეიყვარებს, როგორც შემოსავლის წყაროს, ის მეცადინეობას უმატებს, შრომას გააორკეცებს, თვითგანვითარების გზას მეტის სურვილით შეუდგება. ამ თ ჩვენი სცენა გაუმჯობესდება: ხელოვნება წინ წაიწეებს, გაფაჩივდება და საზოგადოებაც მეტს ყურადღებას მიაკცევს, თეატრში სიარულს უმატებს, თეატრი მისთვის გახდება მიმზიდველი,—გასართობიც და სასაზგებლოც.

დღეს კი რას ვხედავთ? დავიწყეთ სცენიდან. როლები უცოდინარობა ჩვენს არტისტებს ქრონიკულ სენდ ვადაეკეთათ, როგორც არის, მაგ., ქრონიკული სურდო. რეესსურა მეტად კოქლობს. დახელოვნებულ, ნიჭიერ არტისტებს გარდა, სცენაზე გამოდიან სრულიად მოუმზადებელი მოთაზმუენი, რომლებმაც არ იციან, სად გაჩერდნენ, რა სიტყვან, რომელ კარებშიდან შემოვიდნენ და რომელში გავიდნენ. ეს გარემოება მაყურებელს ილღუზიან უკარგავს, მის თვალს ეკლად ესობა, გულს ეხამუშება და საერთო უკმაყოფილებას იწვევს. ამას გარდა დაბალ ხარისხის არტისტს ხშირად აძლევენ საპასუხმგებლო როლებს, რომლებსაც ისინი ახდენენ და მასთან ერთად ახდენენ მთელ პიესასაც.

გადვიდეთ ახლა ადმინისტრაციულ მხარეზე, რომელიც შეადგენს უმთავრეს მიზეზს, რის გამოც ადამიანი, რომელსაც უყვარს წეს-რიგი და მშვიდობიანობა, რომელიც მიდის თეატრში დასასვენებლად და საზოგადოების მოსაზოგებლად, რომელიც, როდესაც ყიდულობს ნომრიან ბელეთს, ჰგონია, რომ ყიდულობს ალაგსაც და სულის სიმშვიდესაც, ამ გვარი ადამიანი, ერთხელ რომ მივა ჩვენს თეატრში, მეორედ ქული რომ შეუდგოდ, იქ აღარ შევა.

არც ერთ თეატრში, არც ერთ საზოგადოების ყრილობაში ის უწყობრივობა, ვიტყვი მეტს, საზოგადოება არ ხდება, რაც ჩვენს თეატრში. ჯერ შეხვალ შესავალში და, თუკა წინდაწინე იცი, რომ თეატრი ცარიელი იქნება, ისე ვაკედელი შესავალი, რომ ერთი საათი უნდა მოანდომო ბილეთის აღებას და თეატრში შესვლას; ამასთან დაგიმტკრევენ ძვლებს, ისე დაგიმუქნან ტანისამოსს, რომ აღარც ძვლება და აღარც ტანისამოსი აღარ გივარჯა. შეხვალ თეატრში, მოსძენნი შენს ადვალს ჭკახივთავ, ვილა ვას დაუქრია უკვე შენა ადვალი. აბა, გაბედე და მოწ-წებთ უხობარი: ბატონო (ან ქალბატონო), ეს ადვალი დამითმეთო. ან შემოგობლვერს ჭხმას არ გავკეშ და, თუ ხმა გაქცა, ისეთ რავეს გეტყვის, რომ შეინანიებთ თქვენს „თავხედობას“. კაპიტალისა და მიწის სოციალიზაცია სასურველიცაა და კარგიც, მაგრამ მე გვგონია, რომ სოციალიზაციის დროსაც მიწისა და ნაწარმოებთა მოხმარება მიწურებაზე არ იქნება.

ამას დაუმატეთ ახლა ყვირილი, ხმაურობა, ხმა მაღალი ცინიკური ობუნჯობა, ხან და ხან სცენაზე თამაშობისდროს

სცენაზედვე ან სადმე თეატრის კუთხეში ძუძუმწოვარა ბავშვის ქნავილი და დამეთანხმებით, რომ ჩვენს საზოგადოებას კიდევ ბევრი მოთმინება აქვს და ბევრის მოთხოვნა არ იცის, თორემ თეატრში დრო-გამოშვებით სიარულსაც კი დაინებებდა თავს.

ასე და ამგვარად, თეატრში მოსიარულე საზოგადოების გამტყუნება არ შეიძლება. მისი „გულ-გრილობა“, რომელიც მუდამ ჩივიან არაბისტები და პრისსა, აქ არაფერ შუაშია. შეიძლება მე თეატრი ძალიან მიმჩნდეს, ვუსურვო ყოველვით სკოტე, არაფერი დავზოგო მისთვის, თუ საჭიროება მოითხოვს, ფულითაც დავეხმარო, როგორც თეატრს, როგორც საჭირო, სასარგებლო დაწესებულებას. მაგრამ, როდესაც მე ვყიდულობ ბილეთს და თეატრში შევდივარ, ამ შეხვედრაში მე კერძო პირი, ვაჭარი ვარ. მე ვყიდულობ ფულით სიამოვნებას და სულის სიმშვიდეს. არ მასიამოვნებ? სასიამოვნო და სასარგებლო სცენებზე მაგიერ, მე ვაივლიანდებო, ჩემს ესტრატურ გრძობებს შელახავ? მეორედ აღარ გვახლებით თქვენ თეატრში. ამგვარია ადამიანის პსიხოლოგია და თქვენს გინდა, გულგრილი დაუქახეთ, გინდა, სამშობლოს მტრად ჩათვალოთ, ის მაინც ასე მოიქცევა.

თეატრში მოსიარულე საზოგადოება დამნაშავე არაა. დამნაშავე დამნაშავე საზოგადოება, რომელიც არაფერს აკეთებს, რომლის ხელზედაც გადასვენებულია და სულს ბერძნის ჩენი თეატრი. ის კი ამ უბედურობას ღვთის განგებას აწერს და გარემოებას შერიგება, — ხელსაც არ ანძრევს, რომ სიკვდილისაგან დაიხსნას და ფეხზე დააყენოს. დამნაშავე ჩენი ქართული პრესაც, რომელიც მართლა რომ გულგრილად ეყდებოდა ქართულ თეატრს: ჯერ ხმას არ ამოიღებს, არის ჩუმი და, თუ ხმა ამოიღო, ღანძლია და გაკიცხვის მეტად არას იტყვას. — ჩენი რეცენზენტები მხოლოდ მაშინ აიღებენ ხელს კლამს, — ჩიოდა ერთი ახალგაზდა არტიტი, — როდესაც ჩენი ღანძლი-გინება მოუწოდებთ! მართალიც არის: თუ რომელიმე არტიტი როლი არ იცოდა, ან თავის ალაგას არ იყო, ან საზოგადოდ პიესა ცუდად ჩაატარეს, მეორედ დღეს გაზეთები ქვებით ჩაქოლავენ, დასცნიან, ყოველ გვარ ღირსებას ართმევენ, და თუ პიესა კარგად ჩაატარეს, თუ რომელიმე არტიტი მოულოდნელად ნიჭი გამოიჩინა, თავი ისახელა, საზოგადოება ასიამოვნა, კრინტსაც არ დასძრავენ, სულაც არ მოიხსენიებენ. — ნახევრად მშვიერი ვარ, — მობოდა ზემოდ ხსენებული არტიტი, — ჩემთვის არც ჩაქოლა, არც დახურვა, მაგრამ თეატრს მაინც არ ვშორდები, მიყვარს, ვემსახურები მას. ამას გარდა როდესაც ვსწავლას, ვაზებობას თავს ვაკლავ, ვცდილობ, საზოგადოების ყურადღება მივიქციო; მოვალ, ვითამაშებ და ჩენი რეცენზენტები არც კი მოიხსენიებენ თავის რეცენზენტში, ესა და ეს როლი ამა და ამან შეასრულაო. თუ ღირსი ვარ, რატომ არ უნდა სთქვა ჩემზე ორიოდ სიტყვა, ან დამიწუნო, ან მამიწუნო, რჩევა დარიგება მამკე, მე ხომ წაშინ ფრთები შემეხმის, ხომ გავ ორკიცებ ჩემს მეცადინეობას, ხომ დამეხმაც არ დავიძინებ, რომ როლი კარგად შევიგნო, შევისწავლო, საზოგადოების წინ მომზადებული წარვსდგე. ახლა მეც ყველაფერზე ხელი ავიღე, — მწარედ დამთავრა იმან, — ახლა მხოლოდ იმაზე და ვფიქრობ, როგორმე ვსთქვა სცენაზე, რაც სათქმელი მაქვს და ვუსადაო თვის, როდესაც ორიოდ გროსს ვადმოგვიღებენ და ამ სთან ერთად ვეძებ რაიმე საშესხურს, სადაც კუქს მაინც ვავიძლებ, სხვა რომ არა იყოს რა!

სამართლიანი არ არის, მკითხველო, ეს ჩივილი და პრესისადმი საყვედური? ახალგაზდა მასიამოვნებში ბრწყინვალე ტალანტები ჩვენ არა გვყავს. ამ გვარი ტალანტები ამ ქვეყნად ძნელად იბადებიან. ეს უნდა ვიცოდეთ ჩვენ და ჩვენს მსახიობებში დიდ ტალანტების ძებნას თავი უნდა დავანებოთ, უნდა გამოვარჩიოთ მხოლოდ მათ შორის ნიჭიერი, სინიდიანი, ხელოვნების მოყვარული და გზა მივცეთ, მის განვითარებას ხელი შევეწყუთ.

ახლა ვკითხოთ, რას აკეთებს დრამატული საზოგადოება? სიპართლე არ დაინაგრება, თუ ვიტყვით: არაფერს! ფიქრობს თეატრის გაუშჯობესობაზე? ცდილობს, თეატრს მატერიალური დახმარება გაუწიოს? სიყვარულითა და ენერგიით ეკიდება საქმეს? არა, და არა. ის ირჩევს გაშვებას და თავის მოვალეობას ამით იცილებს თავიდან, მისი როლი ამით თავდება. ახლა რა არის გაშვება? ვისგან შესდგება იგი? რას აკეთებენ მისი წევრნი? ყველა ამ კითხვებზე რომ პასუხი გავიღოთ, საქმე შორს წაგვიყვანს და ბევრსაც ნება უნებურად ვაწყენინებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ „მოქმედობს“, „საქმეს აკეთებს“ მხოლოდ ერთი მისი წევრი — ხაზინადარი. ხაზინადარი — ეს იგივე გამგეობაა და, წარმოიდგინეთ, რა დაწესებულებაა ის დაწესებულება, რომელიც უმთავრესს როლს ხაზინადარი ასრულებს! იმას ხომ უბრალო როლი აქვს: ფული ჩაიხაროს და თავის დროზე მოსამსახურეებს დაურთოს. დამ. საზოგ. გაშვების ხაზინადარი კი ყოველ შემთხვევაში ახსება, პატრონია თეატრისა. მხოლოდ მას დაესტენ ხოლმე თავგადაგლეჯილი მთელს ქალაქში და მხოლოდ იმასაგან ელიან გაჭირვების დროს ხსნასა და შევლას. დანარჩენი წევრები? დანარჩენი წევრები დადიან თეატრში, როცა მოსურვებენ (კარგია, ფულს არ იხდიან!), გამწკრივდებიან პირველ რიგის საეარძლებში და სხედან ამაყი, მოწყენილი სახით.

თეატრის საქმე კი ცუდად არის. ოჯახში ავადმყოფი რომ გონებასა და ადამიანის ცნობას დაჰკარგავს, შინაურები მხოლოდ მაშინ მიხვდებიან ხოლმე, რომ ავადმყოფს ხსნა აღარა აქვს, უნდა მოკვდეს, მანამდის კი თვალი აქვთ შეჩვეული და არაფერზე არ ფიქრობენ. ასეა ჩენი საქმეც.

საქმეს წინდაწინვე უნდა შედგამო. რაც მიზეზები ჩამოვთვალეთ და ბევრი კიდევ სხვა კაცმა შეიძლება, ადვილად აიცილინოს თავიდან. თუ უმთავრესს მიზეზს მიაგნებს და გარს შემოუღლის, მაშინ წვრილმანი მიზეზები თავის თავად გაჰქრებიან. ეს უმთავრესი მიზეზი კი უსახრობაა.

თეატრი რომ გამობრუნდეს და კარგს ნიადაგზე დადგეს, საჭიროა ფული, ყოველ წლიური სუბსიდია, უმისოდ შეუძლებელია ჩენში თეატრმა იარსებოს, — ეს კარგად უნდა გავხსოვდეს. საჭიროა სუბსიდია, რომ ჩენი მსახიობნი და მათი ოჯახები უბრუნველ ყოფილი იყვენ იმდენად, რამდენადც საჭიროა, რომ ადამიანმა იცოცხლოს და საქმე აკეთოს. საჭიროა ფული, რომ, როგორც სცენაზე არტიტებს შორის, ისე თვით თეატრის დაზაზში რაიმე დსკოპლინა სუფედეს. მოსამსახურე უნდა აფასებდეს ადგილს, უნდა ზედ დაჰკანკალებდეს მას, რომ საყვედურაც უთხრა, შენი ჰყვან მისცე და უკანასკნელ შემთხვევაში სამსახურიდანაც დაითხოვო. ჩენი არტიტების „კაპრიზები“, რომელზედაც მიგვიითათებენ ხომლე მეთაურნი, გაჰქრებიან, ვთ თოვლი მქვებ, თუ მათ ეკოდინებათ, რომ ალაგის დაკრავით ისინი კარგ საზარდოს ჰკარგავენ.

საჭიროა სუბსიდია, რომ დაინიშნოს კარგი პრემიები

ორიგინალურ პიესების ავტორთა დასაჯილდოვებლად. საქიროა სუბსიდიის დრამატული კურსების დასაარსებლად და სხვა.

ჩვენი თეატრის უსუსიდიოდ არსებობა შეუძლებელია. რუსულ თეატრებს გაცილებით მეტი შემოსავალი აქვთ მოსიარულე ხალხი მეტი ჰყავთ და ამისდა მიუხედავად სახაზინო თეატრებს ხაზინიდან დიდი სუბსიდიები ეძლევათ, ხოლო კერძო თეატრებს სათავეში უდგანან კაპიტალისტები და არაფერს ზოგავენ, რომ თეატრი გააუმჯობესონ ჭ საზოგადოება მიიზიდონ. საიმპერატორო დიდი ჭ პატარა თეატრები მოსკოვსა და პეტერბურგში ხომ სახაზინო დაწესებულებად ითვლებიან და არტის ჯები სახელმწიფო მოსამსახურეებად ირცელებიან. ტფლისის სახაზინო თეატრი, რომელიც თითქმის მუდამ საესეა ხოლმე ხალხით და სადაც ფასებიც აწეულია, იღებს სუბსიდიას წელიწადში ათი ათას მანეთიდან ოცდაათი ათას მანეთამდე. როგორ უნდა იარსებოს ჩვენმა თეატრმა, როდესაც ხანდახან ათი თუმანიც არ არის შემოსავალი, რომ ხარჯი დაფაროს და დახმარებაც არსიდან არა აქვს. რა გულით უნდა ითამაშოს ჩვენმა არტისტმა სცენაზე ცარიელ პარტერისა და ლოჟების წინაშე და ამასთან, როდესაც იცის, რომ ხვალ კასაში ფული არ იქნება და ისიც ვერაფერს მიიღებს!

მივედით იმ ადგილას, სადაც ძალი მარხია. საქიროა ყოველწლიური სუბსიდიის, მაგრამ სად ვიშოვნოთ ეს სუფთად? ადვილია ლაპარაკი! აბა ერთი გვითხარით, სად ვიშოვნოთ ეს ფული?!—გაჯავრდება დრ. საზოგადოება და მისი გამგეობა. ამგვარი პასუხი ზარმაცი და სუსტი ადამიანის პასუხია. გიპასუხებთ ისევე კითხვით: სად იშოვნა და სად იშოვნის კიდევ ფულს ბ-ნი ცხვედაძე ტფ. ქართულ კერძო გიმნაზიის შენობისთვის, რომელსაც სჭირდება ნახევარ მილიონზე მეტი? როგორ შოულობენ სხვა და სხვა ქართული სკოლები ყოველწლიურ დახმარებას? სად შოულობენ ჩვენი ვაზეთები ყოველწლიურ სუბსიდიას? სად გამოსძებნა ქუთაისის თავდაზნაურობამ ოცდაათი ათასი მანათი ვაზეთისთვის? სად შოულობენ სხვა და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებანი ფულს? სად, როგორ, რანაირად შოულობენ? შოულობენ იმიტომ, რომ შემოთმობყვანილ საქმეებს სათავეში უდგანან გულშემმატიყარი, მოყვარული, ენერგიით სავსე პირნი. ჩვენს თეატრს კი პატრონი არა ჰყავს. არის ღვთის ანაბარა მიგდებული და მხოლოდ ჩვენი არტისტების მადლობელი უნდა ვიყვეთ, რომ თეატრი დღემდის არსებობს. მხოლოდ მათი უანგარო, თავგანწირული მუშაობა, სცენისადმი უსასღვრო სიყვარულია ამის მიზეზი.

ეს იყო დღემდის. დღეიდან სულ სხვა ხანა უდგება ჩვენს თეატრს. შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენი ნიჭიერი არტისტები ბბ. მესხიშვილი, აბაშიძე, ყოფანი და სხვანი სცენას სამუდამოდ თავს დაანებებენ, ხოლო ახლგაზღვა ნიჭიერ არტისტებს მოსწყინდებათ ნახევრად შიმშილი. სხვა ადგილებს მოსძებნიან და ჩვენი თეატრიც სულს დაღვეს.

აი, რაზედ გვმართებს ფიქრი! მკეობარა.

პ ა ტ ა რ ა ფ ი ქ რ ე ბ ი

ერთი კვირის წინად ვწერდი, რომ „დღეს თუ ხვალ ამოღალატე“ კადეტები, „ნაციონალისტ ბურჟუა“ ფედერალისტები: „ფსიხობატ“ ანარქისტები და „დანოსჩიკი“ სოც.-დემოკრატები „ერთმანეთს დაერევიან მეოქი. ამ სიტყვებს ერთხელ კიდევ უნდა გავუსვა ხაზი.

გასულ კვირას ქალაქის საბჭოს დარბაზში ცნობილმა ვარ. ჩერქეზიშვილმა ლექცია წაიკითხა თვითმმართველობის შესახებ. პარტიები წინდაწინვე დღესასწაულობდნენ გამარჯვებას, პარტიული აგიტატორები და კლაკორები ასეთ სიტყვებით უმასპინძლებოდნენ მოწინააღმდეგეებს: „ისე გავაძრობთ ტყავს თ ვენს მეცნიერს, რომ მეორედ ვეღარ გაბედოს ლექციების კითხვაო.“ ჩერქეზიშვილმა ლექცია წაიკითხა, მაგრამ ვაი ამისთანა ლექციას! დარბაზი თავიდანვე გაყდნთილი იყო „ენერვიანობით“, ყვირილის სურვილით და უნდობლობით. დაიწყო თუ არა კამათი;—ატყდა კიდევ ერთი აყდმასალი, ერთი ალიაქოთი, ყვირილი, კიჟინა და აურხაური. წამდაუწყებლად მოისმოდა: „პოლიციელები ხართ“, „პროვოკატორები ხართ“, „ბურჟუეზო“, „ნაციონალისტებო“ და სხ. და სხ. რამდენიმე ასი კაცი ამიტომ შეიყარა, რომ გაეგოთ რამე ახალი, თავიანთი აზრი გამოეთქვათ და ქეშმარიტება გამოერკვიათ; ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ პარტიები იმიტომ შეიყარენ, რომ ერთმანეთისათვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ, ერთმანეთისათვის პროვოკატორები და პოლიციელები დაეძახნათ, თავიანთი სიმართლე ყვირილით დაემტკიცებინათ და,—თუ საქმე გაკირდებოდა—ქეშმარიტება მუშტებით დაეცვათ. ერთმა ახალგაზღამ გაიწია კიდევ მეორას წინააღმდეგ, მაგრამ მოკრივენი დროზე შეაჩერეს. მერე რა მოხდა საიმისო? რა იყო საჩუბარი? რათ ღიაცუნეს შეურაცხყოფა? იმიტომ, რომ ერთნი ამტკიცებდნენ, ავტონომია და თვითმმართველობა სჯობია ცენტრალიზაციასო, მეორენი კი, პირიქით, ირწუნებოდნენ, რომ ცენტრალიზაცია სჯობია ავტონომიასო. ეს იყო ჩხუბის მიზეზი! პარტიული შუღლი იმდენად გამწვავდა, რომ შეუძლებელი გახდა ამა თუ იმ ლექციისა და რეფერატის ყურის დადგება, შეუძლებელი გახდა დიდ კრებაზე რომელიმე მეცნიერულ საკითხის გაჩეკვა. წარსულ ლექციაზე პატრეცემულმა ლექტორმა და სხვებმაც ბრძოლის ქექაქუხილს ვერ გაუქლეს და წაიფდნ.

ყოველ დღე ხდება ჩვენში ასეთი ამბები. წინაზე ვწერდი, რომ ვიღამაც ვიღაც ჟურნალისტა დუელში გამოაწვია მეოქი. „ვიღაცა“ აღმოჩნდა ბ-ნი შალვა გოგელია, ხოლო „ვიღაც ჟურნალისტა“—„ლამპრის რედაქტორი“. ვაზეთ ამუშის № 1-ში დაბეჭდილია დუელის ოქმი, საიდანაც სჩანს, რომ „ლამპრის“ რედაქტორს უარი უაქვამს დუელზე, რადგან ის „პრინციპიალურად წინააღმდეგა ვაედეს დუელში რევოლუციონურ პარტიის წარმომადგენელის წინააღმდეგ“. აიკო უნდა გათავებულებოდა საქმე, მაგრამ „რევოლუციონურ პარტიის წარმომადგენელმა“ შეუდგვი სიტყვები უძღვნა ამგვარ პასუხს: „რევოლუცია დუელია მტარვალ-მყველველთა და პრილეტარიატის შორის. მე და ჩემ გაბედულ ამხანაგებს სოციალ-დემოკრატია მიგვანჩნია ბურჟუაზიულ პარტიად, ანტირევოლუციონურ პარტიად, ამიტომ დუელი ჩვენ და სოციალ-დემოკრატის შორის კი არ გათავებულა, როგორც ეს „ლამპრის“ გონებრივ და რევოლუციონურ კასტრატებს ჰგონიათ, არამედ მხოლოდ ეხლა იწყება, დღეს თუ არა, ხვალ მაინც ჩვენი და სოციალ-დემოკრატის შორის, რომლის შედეგი ერთი და ერთის სამუდამოდ დანგრევა და სიკვდილი იქნებაო“.

დღემდის სოც. დემოკრატისაგან მხოლოდ ის გვესმოდა, რომ იმის გარდა დანარჩენი პარტიები მის მარჯვენეც ღვანან, რომ მხოლოდ ის არის მემარცხენე პარტია, მხოლოდ ის არის ნამდვილი სოციალისტური პარტია. ხოლო სოც.-ფედერალიტები, სოც.-რევოლუციონერები და უპარტიაო სოციალისტები

ბორჯუნიანი პარტიები არიანო. ესლა ი სოც. დემოკრატებს მარცხნივ ახალი „გაბედული“ ჯგოფი ამოუჯდა და მუჯღუთ-გონი წაპირა მათ, როგორც „ბურჟუაზიულ და ანტირევოლუციონურ პარტიას.“ სოც.-დემოკრატის ბურჟუაზია და ანტირევოლუციონერობა იმავე გახეთის იმავე ნომერშია ვრცლად მოთხრობილი. ორ გვერდზე გაქმული წრი-ლი მთელი საბრალმდებლო ოქია II მუხლისაგან ჩვენ-ბურ სოც. დემოკრატის წინააღმდეგ შეიღვევის სათაურით: უსინათლო „ლამპრის“ ბრწყინვალე ჯაშუშობა და ნათელი პროვაცია. კონვენტზე ასეთი რთული აღრესი და „ლამპრის“ სრული ტრეტული სწერია: „მთავრობის, სახელმწიფოებრი-ვობის, დისციპლინის, ყაზაბმულ სათნოების, როსკიბი კა-ნონის, ბურჟუაზიის ცოლობის, მარქსიზმის ეკონომიურ ღო-რობის და ლიტერატურულ ქურდობის, ცენტრალისტურ სახელმწიფოებრიობის და ბიუროკრატ პარლამენტარულ კრე-ტინიზმის მოტრფილავ, ბურჟუაზიულ სოციალ. დემოკრატის პარტიის ორგანოს „ლამპრის“...

სოც.-დემოკრატებს ლიტერატურამ ყველაფერს შეგვა-ჩვია, მაგრამ ისეთ ლანძღვა-გინებას, როგორც „მუშის“ პირ-ველ ნომერშია, ჯერ არსად შეგვიხდრივართ. ვიცით, რომ გაზ. „მუშის“ ბანაიდან ამის გამო ბურჟუაზიულ სიფაქიზის იარლიკს მოაქაჩავენ უბოლზე, მაგრამ ჩვენ ამს არ გავში-ნია, რადგან ასეა უშინაასო იარლიკებს შეგვიუღული ვრა. აქ საყოფადღებო არა იარლიკი, არამედ პარტიულ ურთი-ერთობის ახალი ელავრა, პარტიუო ბრძოლის ფორმის დასახინრება ამაში იმდენად გასამტყუნარი არ არის ახალ ჯგუფის ორგანო „მუშა“, რამდენადაც სოც.-დემოკრატის ლიტერატურა, რომელმაც ასეთი პასუხი გამოიწვია. „ლამ-პრის“ არ დასცოლდა ამ წერილზე პასუხის გაცემა, მაგრამ სულ ერთია. დღეს თუ ხვალ განსვენებუო „ლამპრის“ „ძე-ლებიდან აღდაცემა შერისხიბილელი“, რომელიც, უეჭვილია, ახალ ჯგუფს ვალს არ შეარჩენს და თავის მხრივაც წარუ-დგინს მას ლანძღვა-გინების თაიგულს და საბრალმდებლო ოქმს. აუცილობლად საქირაო ერთმანეთის კრიტიკა, მაგრამ ერთმანეთზე მისი და აუარებულ ინერგის და ხაჯჯა ისეთ დროს. როცა საქირაო მხოლოდ შეკავშირება და საერთო ბრძო-ლა საერთო მტერთან, ეს ორივეს მზათ ნამდვილი ბოროტ-მოქ-მედება რევოლუციის წინაშე. დიდებულ რევოლუციის მო-მავალი ისტორიკოსი ხაზგასპით აღნიშნავს მებრძოლ ძალთა დაქუცმაცებას და შეადგენს ახალსა და სასტიკ საბრალმდე-ბლო ოქმს და ხალხის სამართალში მისცემს ყელა რევოლუ-ციონურ პარტიების წარმომადგენლებს, რომელთაც ბრძო-ლის უკანასკნელ აქტის დროს საერთო მტერი დაივიწყეს და ერთმანეთს ეცინენ ყელში.

\* \*

მომავალი ისტორიკოსი იმასაც აღნიშნავს, რომ მეოცე საუკუნის დამდეგს არაბუნებრივი ქორწილი მოხდა ჩვენებურ სოც.-დემოკრატისა და ოფიციალურ „კავკაზის“ შო-რის. ახალგაზდა და ჯანღონით აღსავსე საქირა—სოციალ-დემოკრატია—ზურგს აქევეს თავის სამ-ცი წლის საცოლვე „კავკაზს“, მაგრამ ყელმადის შეყვარებული „კავკაზი“ ღან-ღევით თან დასდგის მას და სულ იმის ცდილობს, რომ რო-გორმე ჩავდოს ხელში, გადაეხვიოს და დაპკონოს. მე-რე არ იკეთებეთ, რამ გამოიწვია მოხუც „კავკაზის“ მიჯნუ-რობა? ავტონომიის უარყოფამ სოც.-დემოკრატის მხ ით! პოლიციის გახეთი პოლიციურ ურცხე-ბით თითქმის ყოველ-დღე პოლიციურ წერილებს აცხობს ავტონომიის წინააღმდეგ

და ამასთან ჯენტლმენურ კომპლიმენტებს უგზავნის სოც. დემოკრატისა, რომელიც თავისდაუნებურად „ქეშმარტ რუსებისა, 17 ოქტომბრის კავშირისა და ოფიციალურ „კავკაზის“ მოკავშირე გახდა თუ საქირაო ავტონომიის უარყოფა და ავტონომისტ-ფედერალისტების გალანძღვა, „კავკაზი ჩვენებურ სოც.-დემოკრატის იბარებს მოწმად და ამასთან ისე იღრიკება, ისე იგრიხება და ისე ოხუნჯობს, რომ მის ხელოვნება განთქმულ კლ იუნს ღუროვსაც კი შეშურდება.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი: იქ, სადაც საზოგადოე ქა-რთველებზეა ლაპარაკა, „კავკაზი“ სტიკიქონებს შუა და ზოგ-ჯერ ხზამაღლაც თითს უქნევს ქართელ ენს, ემუქრება და წარსულზე უთითებს: რუსეთს თქვენზე ბევრი ამაგი აქვს და ხარჯული და უმადურები ნუ ხართო, ო, უმადურო ქართელ-ლო! რად დაგავიწყდა, რომ ასი წლის განმავლობაში რუსე-თის მრავრობისთვის შენ მხოლოდ მეწველი ფურა იყავი რად დაგავიწყდა, რომ ასი წლის განმავლობაში რუსეთი მთავრობა მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ საგვსებო მოცესა და ძირიან ფესვიანად აღმოეფხვრა შენი გულიდან და გონე-ბიდან ქართული ენა და სიტყვა „ქართველი“, რომ აეკდა-ლა შენთვის თავისუფლებაზე ფაქრი, ჩაექრა შენს გულ-ღვთაებრივი პროტესტი ძალმომარეობისა და უსამ როლობის წინააღმდეგ: უმადურო ქართველო! რად დაგავიწყდა ასე მალე ისტორია ასა წლის მოქალაქობრივ, სარწმუნოებრივ და ერთ-ვსულ მონობ-სა! რად დაგავიწყდა ასე მალე, უმადურო ქა-რთველო, რომ გუშინ, მხოლოდ იმართლდეთ თვის წინა-დღიან-ბუღიანად გადაგვწეს, შენი სახლ-კარი ნიავს მისცე-შენი სამშობლო ფერფლად აქცევეს, შენს ნასახლკარზე გან-რჯევების ქიაკოკონა ანთეს, ცოლი და დედა გაგიუბატურეს და ერთხელ კიდევ მოგაგონეს შაჰაზახისა და აღა-მამაიდ ხე-ნის დრო! დიად, რად დაგავიწყდა რუსეთის მთავრობის ამ-გი ასე მალე, უმადურო ქართველო!

მაგრამ, არა! გარწინებთ, მოხუკო „კავკაზო“, რა ქართველი ვრი არც იმდენად უმადურია, როგორც თქვენ გგონიათ. ქართველი ბუნებრივი პურ მარლის მოყვარულ-და, თუ სდამე გასტეხა პური, ამას იშვიათად დაივიწყებს. ამ-ტომ უსამართლოდ მიგაჩნია თქვენი საყვედური, ვით-ქართველი უმადური იყოს და ასე მალე დაევიწყოს თქვენ-ბატონის, რუსეთის მთავრობის, მადლი და პურ-მარლის-იგი დაწვრილებით უამაობს მომაველ თაობას თქვენს „მას-ნძლობას“, ამგავა და შრომას, ხოლო ქართველი დედა-ვის პატარა შვილს ნანასთან ერთად უმღერს იმ პაგებს, რ-მელიც წრელს იანვარში გაისმოდა ქართლსა და გურ-იმერთ-სამეგრელოში.

განავრძეთ, „კავკაზის“ „პუბლიცისტებო“, განავრძე-იცინეთ და იოხუნჯეთ, ვიცით, კარგ გუნებაზე ხართ. ჯე-ჯერობით, სანამ პოლიცია ხაროს. თქვენ, მის ლაქია—მის მსახურებს, აბა რა დაგალონებთ! განავრძეთ!

\* \*

ჯერ-ჯერობით ჩვენი მებოლებიც განავრძობენ ერ-მანეთის ხოცვა-ყლეტას. გაზაფხულის დამდეგს ნამესტნი-სასახლეში დიდის ამბით შეიკრიბნენ მაჰმადიანებრისა და ს-ხების წარმომადგენელნი და დიდს ამბით გამოაცხადეს რეცეპტი, რომელსაც უნდა განეკურნა სისხლის წყურვილ-შეპყრობილი მებრძოლნი. შორს-გამქვრტედი ნაწილი ჩე-საზოგადოებისა მაშინვე აცხადებდა, რომ რეცეპტი ყალ-და შეუძლებელია მომრეცებელ კომისიები, იმ მიზეზთ-აღმოფხვრა, რომელთაც გამოიწვიეს უაზრო და ორივე შ-

სათვის დამდუბველი ომიო. იმ დროს ხელსაყრელი ეგონათ მთელ ქვეყანაზე იმ აზრის გავრცელება, ვითომ შეტაკება გასაიწვია მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის პროვოკაციამ. მართალია, ამ საქმეში მთავრობამაც შეიტანა თავისი წვლილი, მაგრამ ყველაფრის ახსნა მარტო პროვოკაციით—თავის თავის მოტყუება და სხვა არაფერი. რატომ ქართველები და სომხები ვერ წაჰკიდა მთავრობამ? ასეა თუ ისე, წინასწარმეტყველება გაძარტლდა, და თათრები და სომხები ხელმეორედ შეხვივნენ ერთმანეთს. როდემდის უნდა გაგრძელდეს სისხლის ღვრა? როდემდის უნდა გაგრძელდეს ველურ შურისძიების ღმერთის წიხამე აუაოტელ და უდანამაულო ხალხის ზვარაკად ძეწიოვა? ამ საარაკო სიველეუფეს, ამ ნაჩვენებლობივ ბარბაროსობას და სტაქიურ სისხლის ღვრას ბოლო აო უჩანს, დასასოული აოა აქვს. ყველა ეცი-მობს, ყველა რეცკატებს სწეოს და ყველა დარწმუნებულია, რომ მისი ოცეკტი უებარი წაძალია ავადმყოფ-თათვის, მაგრამ მათ შოლის არის ერთი რეცკეტი, რომელიც მართლა უებარი უნდა იყოს. ორი კაცი ერთმანეთს ჩასკიდებია და ერთმანეთს დახრჩობას უპირობენ. გამშველ-ბელთ გამშველება უნდათ, მაგრამ გამშველების ძაგეკრად მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ მოხუბაოხი მფარიგონ. დღეს-დღეობით იძცხნად საჭირო არ არის მათი შეოიგება, რამდენადაც საჭიროა მოხუბართა გამშველება და ერთმანეთის-გას გაშორება. ჩვენის ასოით საჭიროა გაიიჯანა, ტერიტო-რიებზე სახალხო მოსახლობის განაწილება ეოოვნების მიხედ-ვით. დღეს სომხები და თათრები ისე აოიან ერთმანეთში აოე-ული, რომ ძნელია თითოცღ, მათგანის ტერიტოოიის გან-სახლერა. სომხებმაც და თათრებმაც ერთხად უხდა მოსთხო-ვონ მთავრობას საჭიროა ფულის გადადება ორივე ტომის გა-დასახლ-გადმოსახლებისთვის. ამ საქმეს დიდი ფული არ დას-კირდება, რადგან სომხებიც და თათრებიც გასცკლიან მიწა-ადგილს და, ვინც წაგებამი იქნება, ვინც მტე და უკეთეს ადგილს დაუთმობს, მათეკობამ იმას უნდა აუხანაღაუროს ზა-რალი. ეს საქმე დიდ დროს და შრომას მოითოივს, მაგამ, სამაგეოროდ, ერთი ათად მტე სარგებლობას ლოუტანს ორივე მხარეს, ვიდრე შემრიგებელი კომისიები და ცარიელი ქადა-გება.

ა—ლა.

**საქართველოს საკითხი რუსეთში**

(პროფ. ნ. შარო, *История Грузии. Культурно-исторический обзор*. СПб. 1906. издательство „Амиранъ“ А.А. Арабидзе. Къ грузинскому вопросу № 1 II. 2. кол.)

აგერ ას წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც საქართველო შეერთდა რუსეთთან. ამ ხნის განმავლობაში რუსეთის მმართველებმა და რუსმა მოღვაწეებმა საქართველოში ვერ მოახერხეს ქართველთა გულის მოგება, პირიქით, თავის ქცევით, ქართველების კულტურულად დაჩაგვრით, ქართველ ხალხის გულში მათ აღზარდეს სიძულვილი რუსებისადმი. ამ სიძულვილის მიზეზი ისეთაა „მოღვეწები“ არიან, როგორც იყო მაგ., მამა იონანე ვოსტროგოვი, რომელიც ათი წლის განმავლობაში განაგებდა საქართველოს საექსარხოოსის სასწავლებლებს, ადგი-ლობრივ საეკლესიო საქმეებში „რუსულ“ მიმართულების სუ-ლის ჩამდგმელი იყო და თავის გესლიან გულს განსაკუთრე-ბით ქართველთა საეკლესიო საქმეებში იჩენდა.

მამა ვოსტროგოვი იძულებული შეიქნა წასულიყო კავკა-სიიდან, მაგრამ მან კავკასია და ქართველები არ დაივიწყა!

რუსთა „პატრიოტულ“ კრებაზე მოსკოვში მან ამას წინეთ სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც დიდის ქებითა და დიდებით დაბეჭდა მოსკოვის ცნობილმა გაზეთმა (Моек. Вѣд. 12 август. №95)

მამა ვოსტროგოვი აცხადებს, კავკასიაში ყველაზე უფრო მოსაწონი არიან მამადიანებიო: „ისინი ყველაზე უფრო ერთგული არიან, წინ არ მიიწევიან, რადგანაც არა აქვთ საკუთარი გაზეთები, არა ჰყავთ ინტელიგენცია, არა აქვთ ფული სხვების მოსასყად და მწკრლების გადმოსაბირებლადო.“ მამა ვოსტროგოვა აო იცის, რომ მამადიანებს ო-ი საკუთარი გაზეთი აქვთ, ეოოვნულ საქმეზე მტკიცედ დამდგარი ინტე-ლიგენცია ჰყავთ და რომ მამადიანების სიძლიერე სხვა ეოე-ბის სიმდიდრეს არაფრით არ ჩამოუვარდება. საგულისხმო ის არის, რომ ეკლესიის წარმომადგენელი მამა ვოსტროგოვი მამადიანებს აქებს და აქებს იმისთვის, რომ ისინი „წინ არ მიიწევიან“, რომ „მათში არ არის გაზეთი“, „საკუთარი ინ-ტელიგენცია“ და „ფული“

ავტოკეფალიის საკითხი, ამ უკანასკნელ ხანებში წამო-ყენებული, ქართველ ერის სურვლებს აო ეთახმება, და იგი წაოკუნებულია მხოლოდ ზოგიერთ პოლიტაკესობისაგან სხვა, უფრო ღრმა საკითხის, —ავტონომიის დასაფარაკადო, — აცხადებს ვოსტროგოვი. ვოსტროგოვს რომ ეთქვა, ავტო-კეფალია მთელ ქართველ ერის სუკალეს არ ეთახმება, ოამას კიდევ შეურიგებოდა ადამიანი, ოადგანაც ეს ძართალია, მაგრამ ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგნი სა-ზოგადოდ ყოველივე ეკლესიას ეწინააღმდეგებიან, —მათ „რუ-სული“ ეკლესიაც აო უნდათ. ავტოკეფალიის საკითხს უკან აწოფარება ავტონომიის დასაფარაკად ქართველებს არ სჭირი-ათ, რადგან ავტონომიის მომხრე ქართველებს არასადეს არ დაუმაღავთ თავიანთი სურვილი და ავტონომიის მოთხოვნა ბმა მაღლა და აშკარად წამოუყენებიათ. მართალია, დღეს-დღეობით ავტონომიისაც მთელი ქართველი ერი არ ემხრობა, — ქართველი სოციალ.-დემოკრატები ჯერ კიდევ მისი წინააღ-დეგნი არიან. თვით ავტონომიის მომხრე ქართველებმაც აზრთა დიდი სხვა და სხვაობა არსებობს, რადგან ზოგი ფეო-დალურ და ზოგიც დემოკრატიულ ავტონომიისაკენ მიი-სწრაფება.

ავგვეა ავტოკეფალიის საკითხიც. მისი მომხრე სამ-ღველოება ხედავს, რომ შეუძლებელია საქართველოში ხალხი-საგან მოწვეტილად ეკლესიის არსებობა, რომ საშვედლოება უნდა დაუბრუნდეს ხალხს, რომ ხალხის გარეშე მისთვის ხნა აღარ არის; მათის აზრით, ეკლესიის ასეთი მოწყობა ხალხისთვი-საც საჭიროა. საეკლესიო საკითხის გაღწევეტილად ქართველ-თა საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება.

იყო დრო, როდესაც ზოგიერთს ეგონა, რომ ქართვე-ლების საკითხი სამუდამოდ მოსპობილიაო, რომ თვით საქართვე-ლო პოლიტიკურად სამუდამოდ მოიშპო. „ერთგულ ქართველებს“ ჰპირდებოდნენ „დაცვა-ს“, —ნამდვილად კი, ჯერ სხვა და სხვა მიზეზითა და შემდეგ სულ უმიზეზოდაც, აშკარად და შეუბრა-ლებლად უსპობდნენ ყოველივე გზას კულტურულ ცხოვრე-ბისათვის. რუსეთის მთავრობამ ქართველებს ჯერ მეფის სახლობა ჩამოაშორა, წაართვა მას ქართული ეკლესია, —და ქართვე-ლი თავად-აზნაურობა, სანამ იგი ვარგოდა რათმე, თავის რუსულ, ნაციონალისტურ მიზნების მისაღწევად გამოიყენა, შემდეგ კი, გამოწურულ ლიმონივით, განზე ისროლა და აი-ძულა, მთავრობის „მოწყალების“ იმედი დაჩენილიყო.

ქართულ საკათალიკოზოს საზღვრები გააღიღეს, სამა-

გიგროდ არჩეულ კათალიკოსის მაგიერად დაწესეს მთავრობისაგან დანიშნულ ჩინოვნიკ ექსარხოსის თანამდებობა, — ამ თანამდებობაზე ყოველთვის რუსებს გზავნიდენ და სისტემატიურად სდევნიდენ ადგილობრივ ეკლესიაში ყველაფერს, რასაც ეროვნული ქართული ელფერი ედო.

ძველ ქართულ სასამართლოს მაგიერად ახალი, „უფრო წესიერი“ სასამართლო შემოიღეს, მაგრამ თვით სასამართლოსაც მიზნად ადგილობრივ ხალხის გადაგვარება წამოუყენეს. ათასის წლის განმავლობაში სასამართლოს ოციციკალურ ენად ითვლებოდა ქართული, რომელაც მაჰმადიანთა საშინელ ბატონობის დროსაც არ მოსპობილა, რომელსაც არ სდევნიდენ მონღოლები, თათრები და სპარსელები, — ახლა კი ერთის კალმის მოსპობით მისპო ეს ენა სასამართლოში რუსეთის მთავრობამ. ქართველები ამბობენ: „რუსული კანონი“, „რუსული უარი“, „რუსის სამართალი“; მათში ეს სიტყვები ყოველივე უკანონობის და უსამართლობის გამომხატველი შეიქმნა. რუსების სასამართლომ ქართველებში სამართლიანობის გრძობას ძირი გამოუთხარა, მან გარყვნა ქართველი ერი...

საქართველოში რუსეთთან შეერთების დროს ბევრი სასწავლებელი არ ყოფილა, — რუსეთის მთავრობამ, მართალია, გაამრავლა სასწავლებლები, მაგრამ აქაც მისმა პოლიტიკოსებმა საქმეს სულ სხვა ფასი და მნიშვნელობა მისცა. ქართველების დედაენას დევნა დაუწყეს. დიდი შრომა და ფული შეაღწია მთავრობამ სწავლა-განათლების საქმეს ქართველებში, მაგრამ ამ ხარჯმა და შრომამ მათთვის უნაყოფოდ ჩაიარა. რუსულ ენაზე წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ ქართველი ბავშვი ადვილად იციწყებს ნასწავლს. საშუალო სასწავლებლებში განდევნეს ქართული. ქართულ ენას და მწერლობას თუ ასწავლიდენ საღმე, — ეს სწავლება ისე იყო დაყენებული, რომ მოსწავლეებში მხოლოდ ზიზღსა და გულის აგორებას იწვევდა; — უნდოდათ ამ საშუალებით ქართველ ბავშვების გულში ჩაენერგათ სიყვარული რუსულ სასწავლებლისადმი და საზოგადოდ რუსებისადმი, მაგრამ ქართველების ეროვნულმა დაჩაგვრამ მხოლოდ ერთი ნაყოფი გამოიღო, — მათი ეროვნული გამოვხიზლება და რუსების ჩამოშორება. მართლაც, სწავლა — აღზრდის საქმის ასეთი დაყენება და მხედ დახარჯული შრომა საქმის სასარგებლო კი არა, — პირდაპირ ზიანებელია; მას მიზნად აქვს, ქართველები კულტურულ ხალხსა სიდიან სამუდამოდ ამოშალოს. ქართველები ისტორიულ წასრულის მქონე ერია, კულტურული ხალხია და მის კულტურულ სიძიდრის სასწავლებლებში უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. წარსულის კულტურულ განძის უარისყოფა ხალხის უმეტესობას განებრივ გადაგვარების გზაზე აყენებს. სასწავლებლებში გაბატონებული გამარჯობებული სისტემა იმის მიზეზი შეიქმნა, რომ ქართველ ერის დიდი ნაწილი განებრივად დაეცა, ჩამორჩა, და, თუ დღეს კიდევ ქართველები სრულ ველურებამდის არ მისულან, — ეს კიდევ ამ ერის წასრულ ისტორიულ კულტურის ნიშნის შედეგია, — რუსებს ამაში არავითარი წილი არა ავთ.

რუსებს საქართველოში თუ შემოულიათ რამე წესები, სასამართლო, სასწავლებელი და ადმინისტრაცია, — ყოველივე ამას მიზნად ჰქონდა ქართველების გადაგვარება, რუსების გაბატონება, ქართველთა გულში და თანავედროვე პოლიტიკაში საქართველოს ხსენების მოსპობა. ევროპის საერთო კულტურულ განვითარებიდან რუსეთის მთავრობა ქართველებს მინიმუმს აწვდიდა, იმას, რის მიუტკმლობა შეუძლებელი იყო, — იმას, რასაც

ქართველი ერი ათას აკრძალვის მიუხედავადც შეითვისებდა. და მთავრობის ასეთ პოლიტიკის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი მამა იოანე ეოსტორგოვი იყო, როგორც საქართველოდან წასვლის შემდეგაც არ იფიწყებს თავის სამოღვაწო ასპარეზს და რუსეთში ცდილობს დააჯეროს რუსები, ქართველები მთავრობის ამნაირ მოქცევით სრული კმაყოფილი არიანო.

რუსეთთან შეერთების დროს ქართველებს ეგონათ, რომ მათ ეროვნულ კულტურის მშვიდობიანი განვითარება გაუადვილებოდათ. მართალია, ზოგიერთი, უფრო შეცნებული ქართველი მაშინვე ეკვის თვლით უყურებდა რუსებს და მათს გულწრფელობას არ ენდობოდა. კათალიკოსი ანტონი, მაგ., ამბობდა: ქართველები რუსეთთან შეერთებით მხოლოდ ერთ რასმე მოიგებენ, — მათ, ქართველებს სახმელრო მუსიკით დასაუღლებენო. მართლაც, რუსებს ქართველების გულისთქმა არ ესმოთ, რუსებისთვის ქართველების იდეალური უცხო და გაუგებარია. რუსების ყურადღებას იზიდავდა საქართველოს დიადი ბუნება, — და თუ აქ, ამ ბუნების კალთაზე იტანჯებოდა, რამე იდეალებისაგან მისწრაფოდა თავის წარსულ ისტორიის მქონე, კულტურულად განვითარებული ერი, რომლის გულისთქმას გამოხატავდა ნ. ბარათაშვილის ცნობილი „მეჩაინი“, — ამას ვერაფერ ვერ ხედავდა ისევე, როგორც ვერაფერ ვერ ამჩნევდა, რომ თვით ამ დაჩაგრულ-დამონებულ ერში თანდათან იზრდებოდა ახალი საზოგადოებრივი ძალები, რომელთაც ხელახლად უნდა გაცეხოველებინათ ქართველ ერში კულტურულ ცხოვრების მაჯის ცემა, ეროვნული კულტურა.

რუსებმა არ იცოდენ, რუსებს არ გაეგებოდათ, რომ საქართველოში ეროვნული ნისწრაფება არასოდეს არ მოიხსობა. რუსებს მოსწონდათ ქართველების გარეგანი მშვიდობიანობა და უსაქმობა. მათ აწუხებდა მხოლოდ სომხების საქმიანობა, ავიწყდებოდათ, რომ ქართველებში, სამაგიეროდ, მაგრად ფესვი მოკიდებული ჰქონდა ეროვნულ კულტურას, რომელიც სავსებით არასოდეს არ მოსპობილა. ქართველებს ყოველთვის ახსოვდათ, რომ უნდა ჰქონდეთ თავისუფალ განვითარების უფლება.

ქართულ ენის სისტემატიურმა დევნამ სასწავლებლებში, რასაკვირველია, შესამჩნევად დასწია ქართველთა გონებრივი და საზოგადოებრივი სულიერი ინტერესები; მან შეამცირა ქართველების სამეცნიერო მოღვაწეობა, მან შეაჩერა ქართულ ენის სამეცნიერო გამოკვლევა; მანვე შეუშალა ხელი სწავლა-განათლების გავრცელებას საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში. მაგრამ მან ვერ მოსპო ქართველებში კულტურულ განვითარების ნიჭი: ქართულ ენის დევნამ ვერ შეაჩერა მისი ზრდა და ქართველებს მუდმივმა ჩაგვრამ მათს საზოგადოებრივ აზრს და მისწრაფებას ფრთა ვერ შეუკვეცა.

მართალია, სომხებზე ბევრს ლაპარაკობდენ, — სომხთა საკითხი საერთაშორისო პოლიტიკის საკითხად შეიქმნა, მაგრამ ამის მიზეზი ის არის, რომ სომხობა ოსმალეთსა და რუსეთში თანაბრად დასახლებული. ქართველები კი თითქმის მხოლოდ რუსეთში ცხოვრობდენ და საერთაშორისო პოლიტიკას, ამიტომ, მათთან არავითარი საქმე არა აქვს. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ეს საკითხი მაინც იყო. რუსეთის მთავრობამ თანდათან ჩამოაშორა ქართველებს მათი პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრების მეთაურები, — ქართველი სამეფო გვარეულობა, ქართული ეკლესია, ქართველი თავად აზნაურობა, — ქართველ ინტელიგენციას კი ყველა გზა დაუხშო, გარუსებისა და ეროვნულ გადაგვარების გზის გარდა, მაგრამ მაინც ქართველთა საკითხი არსებობდა. კულტურულ

განვითარების სწრაფა ზღა შეჩერდა, მაგრამ არ შეჩერებულა და არ მოსპობილა ეროვნული შეგნება, — მხოლოდ იგი საზოგადოების სხვა კლასებში ვადვიდა: ქართველების ეროვნული შეგნება ვადემოკრატიდა, იგი მშრომელ ხალხში ვადვიდა, ეკონომიურ ცხოვრების შეცვლილმა პირობებმა მშრომელ ხალხს ახალი იდეალები წამოუყენა. საკვირველი და ვაუგებარი იქნებოდა, რომ ახლანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობაში ხალხი ისევე ძველ წესებს მიხვრობოდა. ვლტებმა და წვრილ აზნაურების ქონებრივმა დაჩაგვრამ ისინი თავისუფლეგისთვის მებრძოლთა რაზმში დაყენა, სამხრეთელ ხალხის კოცხალმა ხასიათმა და ვატაცებამ ამ განმათავისუფლებელ მოძრაობას ვანსაკუთრებული ხასიათი მისცა.

ისტორია აღნიშნავს ამას, თუ როგორ მშვიდობიანად მიდიოდა რევოლუციის საქმე იქ, სადაც ქართველები არიან დასახლებული. საქარისია შევადაროთ აქაური ამბები იმას, რაც ხდებოდა რუსეთში. სადაც ხალხი საშინელის სისასტიკით სისხლს ღვრიდა და ყველაფერს ანადგურებდა, — საქარისია შევადაროთ თვით დამჯღელ რაზმების მოქმედებას. ამ რაზმების ძალ-ისომრებამ მხოლოდ მეტის სიმწვაით წამოაყენა ქართველთა საკითხი. აშკარა შეიქმნა, რომ ახლანდელ მოძრაობას თვით ხალხის გულში ფესვები ღრმად აქვს მოკიდებული და რომ ქართველთა საკითხის ჩაუღრმება ახლა ყოვლად შეუძლებელი რამეა. ამ საკითხის ვადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ქართველებს ნამდვილი დემოკრატიული თვითმართებლობა ექნებათ მინიჭებული. ამ თვითმართებლობის შემოღება აუცალბებელი საქარია ერთის მხრივ იმიტომ, რომ ხალხს მრავალი ეკონომიური და სულიერი მათხოვნილება დაუკმაყოფილებელი აქვს და რომ ხალხი, ახლანდელ შეცვლილ ეკონომიურ პირობებში, თვითონაც ვრძობს თვითმოქმედების საქარობას.

დიდი შეცდომა არის, როდესაც ამბობენ, ქართველებს თვითვამორკვევის თავისუფლება უნდა მიენიქოსო. ქართველ ერს დიდი ხანია აქვს თავისი ვარკვეული კულტურული იდეალები, მას დიდი ხანია აქვს თავისი ვარკვეული ტერიტორია. და თუ ვაკვასიაში მოსახლე ერთა დამოკიდებულება ისეთი არის, რომ შეუძლებელია მათთვის ამ მოკლე ხანში საერთო მმართველობის შემოღება, რომელიც ყველასთვის თანასწორად სასურველი იქნება, ჩვენ არავითარი უფლება არა ვვაქვს, ამის ვამო შევარჩოთ საქარაველთა პოლიტიკური მოწყობა, მით უფრო რომ საქართველო თვითონ, ცალკე შეუერთდა რუსეთს.

ქართველ ხალხისთვის საქარია საკუთარ კულტურულ-ეროვნულ იდეალების შერჩენა და ვანვითარება. საამისოდ საქარია არის, ერთის მხრივ, მოისპოს ეროვნულ ვანცალკეების მახინჯი მისწრაფება, და ამასთან ერთად, მეორეს მხრივ, უნდა მოისპოს აგრეთვე ეროვნულ თვითმკვლელობის სურვილი, თავის ეროვნულ კულტურაზე ხელის აღება. საკუთარ კულტურის ვანვითარება ქართველ ერს მეზობელ ერებთანაც დააკვშირებს და ხელს შეუწყობს ქართველების საერთო კეთილდღეობას. ამ ვზას უნდა დაადგენ თვით რუსებიც საქართველოში, ე' უფრო სასარგებლო იქნება მათთვის, ვიდრე ქართველების ვარუსება და ვადავარება. ძალმომრეობაზე აგებული ბატონობა თვით ბატონს რყენის, — ეს უტყუარი ისტორიული კანონი არის. ეს კანონი არ ვავეგებოდათ რუსეთის მმართველებს წინეთ, — შეიძლება ვერ შეიგნონ იგი თვით რუს ერის ახლანდელმა წარმომადგენლებმაც: საკუთარ ერისთვის თავისუფლების მოპოვებით დამაკაყოფილდენ და და-

ჩაგრულ დამო ნებულ ერებს ასეთივე თავისუფლება არ მიანიქონ, მაგრამ ძათი ასეთი ქცევა შეიჩერებს, ვანა, შემდეგში ქართველთა საკითხის ვანვითარებას? თუ ეს საკითხი ამის ვამო უფრო ვართულებდა და უფრო სახიფთო ვანდებდა რუსეთისათვის?

სწორედ ამ დროს, როდესაც ხალხს წარმომადგენელთა ხელში კოტაოდნათ მაინც ვადადის სახელმწიფოს მართვამეგობის საქმე, მეტად საქარო და სასარგებლოა ასეთ „მოღვაწეების“ ვეროვანი დაფსება, როგორიც იყო და არის ქართველობას დაუძინებელი მტერი მამა იოანე ვოსტორგოვი, რომელიც დღესაც კიდევ არ იშლის თავის უსაზღვრო სიძულვილით მოშამელ მოღვაწეობას და რუსეთში ყოფნის დროს ძირს უთხრის ქართველებს კულტურულ ვანვითარებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება პროფ. მარრის შემოდ-აღნიშნული წიგნაკი, რომელიც პეტერბურგში ბ. ალ. არაბიძის მიერ ახლად ვამოცემულია, და 25 კ. ღირს. ჩვენ ამოვიღეთ და მკითხველს ვავაცანით პროფ. მარრის მთავარი აზრები ქართველთა თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, ამავე წიგნაკში ცნობილი პროფესორი ქართველების წარსულ კულტურულ ცხოვრებას და ვანვითარებას მოკლე მოგვითხრობს და ცალკე კიდევ არჩევს მამა ვოსტორგოვის წერილს, რომელიც შარშან ერთ რუსულ ჟურნალში იყო მათავებული და საქართველოში სწავლა-ვანათლების საქმეს ეხებოდა. პროფესორი მარრი აღნიშნავს ვოსტორგოვის სრულ უეცობას და ვვაცნობს მის მოღვაწეობის ნამდვილ მიზანს და ხასიათს.

ამ მოკლე წერილში ჩვენ არ შევეცდოთ მკათხელებისთვის ვადმოგვეცა ამ წიგნაკის მთელი მინაარსი და მრავალი საგულასხმა შეხედულება. ცოცხლად და გრძნობიერად დაწერილი წიგნაკი მკათხელსაც იტაცებს და აშკარად ხდის, თუ რამდენად შემცდარი არიან ის, ვისტორიკოსებური რუსი მოღვწეები და ზოგიერთი ჩვენებური პოლიტიკოსები, რომელნიც ვეროვანის ყურადღებით არ ეციდებიან ქართველ ერის კულტურულ ვანვითარებას და ფიქრობენ, რომ ადვილად შეიძლება საკუთარ კულტურის მქონე ერის ვადავარება.

ვერჩევთ ყველას ეს წიგნაკი გულდასმით ვადაკითხონ, ასეთის შინაარსის და ასეთი მდიდარ შინაარსიანი წიგნი ქართულ ერის წარსულ და აწქო ცხოვრების შესახებ ცოტა მოგვეპოვება.

კ—ი.

სათათბირო და ვაზ. „ლაშკარი“

ჩვენ ვიცით, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენა ზოგიერთები სათათბიროს მოწვევამ. ისინი, ვინც იმ თავითვე ვაგებუტენ არჩენებს და სათათბიროს ბოიკოტი ვამოუცხადეს, რადვანაც იგი „რეპტიკონერებით აივსებაო“, — ისინი, ვინც ამტიკებდენ, რომ ხალხი ამ სათათბიროს მოსპობს და ვარავსო, თვითონ ვარიყული შეიქენ და ახლა იძულებული არიან ამ სათათბიროზე ლაპარაკის კოლო შესცვლონ. მართალია, სათათბიროს წევრთა უმეტესობა „ბურჟუაზიულია“, მაგრამ თვით ბურჟუაზიის მტრნიც კი ამ წევრთა ვაბედულმა და მოხერხებულმა ქცევამ ჩაჩუმა და მათ დანახა, რომ თვით უფლება მოკლებულ სათათბიროსაც კი ვანუზომელი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ აზრის შექენისა და მთავრობის საწინაღმდეგო ოპოზიციის ვაძლიერებისათვის. „ვადეტებთან“ ბრძოლა, „ბურჟუაზიის“ ვინება, უწინდელ ჩვეულების

მხედვით, კიდევ ისმოდა საჯარო კრებებზე, რომელთაც სოციალ-დემოკრატიული წრეები მეთაურობდნენ, მაგრამ უკვე იჩინა თავი ახლმა „მხედველებმა“ც სათათბიროზე და თვით სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთებმა რუსეთში ანხანაგებს უაჩიეს, სათათბიროს და სათათბიროში გაბატონებულ „ბურჟუაზიულ“ პარტიის გინებას უკლან, რადგანაც დღეს სათათბიროსთან ბრძოლა მთავრობისათვის ხელის შეწყობას ნიშნავსო. პირიქით, ყოველმა რევოლუციის მომხრე პარმა უნდა დაუქიროს მხარი მის წევრებს, თანაგრძნობა უნდა გამოუცხადოს, დახმარებას უნდა დაჰპირდეს, რომ ამ დახმარების იმედით სათათბიროს წევრებმა უფრო მეტის მხნეობითა და გაბედულობით ებრძოლონ მთავრობას.

მართლაც, ასეთ ქცევას მოითხოვდა რევოლუციის ერთგულება და საქმის გაკეთების გულწრფელი სურვილი. ანუ ერთი პოლიტიკური პარტია, რომლის მოქმედება ჰკვიდრნიდადაც არის აშენებული, ან შეუშინდება იმას, რომ ამა თუ იმ ცვლილების შემოტანა სახელმწიფოში სხვა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას წილად ხვდა, რადგანაც პარტიის შეგნებული წევრები მას საერთო პროგრამისათვის ემხრობიან და არა იმისთვის, რომ ეს პარტია „ახერხებს“ ამა თუ იმ რევოლუციის მიღებას. რა ვუყოთ, რომ დღეს სათათბიროში ბურჟუაზია უმრავლესობას შეადგენს, — თვით სოციალ-დემოკრატიული მწერლები რუსეთში გარკვევით აცხადებენ, რომ დღევანდელი რევოლუცია ბურჟუაზიული რევოლუცია არის და არა სოციალისტური, რომ ამ რევოლუციით ისარგებლებს ბურჟუაზია, როგორც მოპოვებულ თავისუფლებით ეცდება თავისი ძლიერება განავითაროს, — მაშ რად უნდა გვიკვირდეს ან რად უნდა გვწყინდეს თუ ამ რევოლუციაში ბურჟუაზიამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო და მრავილი თავგამოდებული ბოლშევიკი წაშაყენა. ანუ ერთ შეგნებულ ადამიანს ეს გარეშობა არ გააკვირვებს და სათათბიროში „ბურჟუაზიულ კადეტების“ მოქმედება და ბატონობა ხალხში ნდობას ვერ დაუკარგავს დანარჩენ პარტიებს, თუ ამ პარტიებმა სათათბიროსთან ერთად მოახერხეს ხალხში მთავრობის საწინააღმდეგოდ შეთანხმებული მოქმედება.

მხოლოდ სუსტსა და ეფექტების მოტრფივალე პარტიას შეუძლია იწყინოს, თუ ხალხისთვის სასარგებლო საქმე სხვა რომელიმე პოლიტიკურ პარტიის სახელით კეთდება. მხოლოდ იმ პარტიას, რომელსაც „თავისიანების“ იმედი არა აქვს, სწყინს, თუ საქმე „სხვამ“ გააკეთა.

ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს „სწყინთ“, რომ სათათბიროში „ბურჟუაზიამ“ მთავრობასთან ბრძოლა გამართა, მათ „სწყინთ“, რომ კავკასიელმა სოც. დემოკრატებმა იქ ვერ ისახლეს თავი, ისინი იოქმეტებიან, რომ უკავკასიელ სოც. დემოკრატებოდ რუსეთში ისევე არ გაცხადება.

მართლაც, სათათბიროს ოცნებების ქვა კუთხედს შეადგენს გლეხთა საკითხი. „ლაშქარი“ ამ საკითხში სათათბიროს ყველა წევრის და პარტიის წევრის სწურობას, „ორკოფობას“ აბრალებს: „შრომის ჯგუფთა“, — სწერს იგი — სამსუხაროდ, ჯერ იყენის ენერგიით არ დაიცვა თავისი წინანდადებ ადგილობრივ კომიტეტების მესახებ და შავისღაუნებურად თითქოთივითანვე მიიღო მონაწილეობა მის ჩაფუხრებაში, მის უარყოფაში. მაგრამ, სამაგიეროდ, აგარარულ კითხვის უფრო სწორეთ და პოდაპირ დაყენების ჯარი ეხლა იუშათა ჯგუფზე მიდგა. მართალია, ამ ჯგუფსაც დღეს-დღეობით მოქმედებაში ჯერ კიდევ ხაკლენად მესწყვის სიძაგოე, მაგრამ მას ძალე შეუეროტეციან კავკასიელი ანახსავები და იმათი მეთაურობით, ლა-

პარაკი არ უნდა, მუშათა ჯგუფი სავსებით შესძლებს ჯეროვანად დააყენოს აგარარული კითხვა. იმედია, კავკასიელი ს. - დემოკრატები მთელ მშრომელთა ჯგუფზედაც საჭირო გავლენას მოახდენენ“... („ლაშქარი“ № 36).

ამნაირად, სათათბირომ თუ მოახერხა აგარარულ საკითხის გადაწყვეტა, ხალხი, „ლაშქარის“ სიტყვით, კავკასიელ ს. დ. დემოკრატების მადრიელი უნდა დარჩეს, — თუ არა და მაშინ ხომ კადეტებს „მუხანათობას“ გადააბრალებენ: „ლაშქარის“ პუბლიცისტ კავკასიელი ს. - დ. დემოკრატები იმ დერძალ წარმოუდგენია, რომლის გარშემო უნდა დატრიალდეს სათათბიროს მოქმედება და თვით რუსეთის რევოლუცია შემდეგში.

„ლაშქარს“ ავიწყდება, რომ რუსეთში გლეხთა მოძრაობა სოფლად ს. - დ. პარტიის გავლენის გარედ ხდებოდა და ახლაც ხდება, რომ პარტია ყოველთვის გულაგორებით უცქეროდა სოფელთა მდგომარეობას და დოგმის გულისთვის თავის აგარარულ პროგრამას არ ცვლიდა და ამით რუსეთის სოფლებში ვერავითარი გავლენა ვერ მოიპოვა. რომ თვით გლეხთა კავშირის კრებაზე, სადაც რუსეთის გლეხობამ აირველად მოახერხა თავის საკუთარ იდეალების წაშაყენება და სადაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლებმა კრებისავს მითხოვეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელობა მიეღოთ, გლეხებმა სოციალ-დემოკრატებს უპასუხეს, — თქვენ ქალაქის მუშათა, პროლეტარიატის წარმომადგენელი პარტია ხართ და თქვენი შესაფერი პროგრამა გაქვთ შემუშავებულიო, ჩვენ კი სოფლის იდეალები გვაქვს წაშაყენებული, — ჩვენ ერთმანეთის სწორი ვართ და ისეთივე უფლება გვაქვს ვიმოქმედოთ სხვის ხელმძღვანელობის გარეშე, როგორც თქვენ, და ამიტომ ცალკე პარტიას ვაარსებთო. გლეხთა კავშირი მთავრობამ დახურა, კავშირის ზოგიერთი გამოჩენილი წევრები დაატუსაღა, მაგრამ მის არსებობის სრული მოსპობა მაინც ვერ მოახერხა. დღეს რუსეთის სათათბიროს თუ ასეთის ძლიერებით მიაქნებენ მთავრობის საწინააღმდეგოდ აგარარული საკითხი, — ეს გლეხთა კავშირის საქმეა, იმ კავშირისა, რომელმაც ს. - დ. პარტიის ხელმძღვანელობა უარპყო.

„ლაშქარი“ აღიარებს, რომ აგარარული საკითხი ძირითად საკითხად გადაიქცა დღევანდელ რევოლუციაშიო, მაგრამ ავიწყდება და არ ამბობს, რომ ამ საკითხის ასეთი გაძლიერება რუსეთის სოც. - დემ. პარტიის გარეშე მოხდა.

ახლა კი კავკასიელ ს. - დ. დემოკრატების იმედით გვიტოვებს სსე-ე-ელ საკითხს...

რატომ იმეტა, რომ „ამ საკითხს ვერაინ გვერდს ვერ აუყვეს, ხოლო, თუ იაისც კიდევ ვინმე ამ კითხვას ჯეროვანი ყუოადლება არ აიაქცია, მას თანდათან რევოლუცია გვერდს აუქცევს... ვინც გლეხთა მოთხოვნილებას მხარს დაუქეოს და თავად დაიცავს, იმას რევოლუცია, მთელი გლეხკაცობა შეღვრად დაუქეოს მხარს. ხოლო ვისაც და თავსაც კი გლეხკაცობა მხარს მისცემს და ხუოჯ გაუშაგოებს, გამაოჯგუბულიც ის დარჩება“ („ლაშქარი“ № 36).

ნუ გაუვირდება მკითხველს, რომ ამას იმ პარტიის ორგანო ამბობს, რომელიც მუცამ მხოლოდ ქალაქის პროლეტარიატის, ქალაქის მუშა ხალხის საშუალებით აპირებდა რევოლუციის დაწყებას და დასრულებასაც, რომ ახლა „ლაშქარი“ ისეთსავე მხიშველობას აძლევს გლეხობას, რომელსაც წინეთ მხოლოდ „ბურჟუაზიული“ წრეები აძლევდნენ მას. აქ დაშახსიათებელი მხოლოდ „ლაშქარის“ რწმენაა, რომ, ვინც აღეხობას აუცილებლობა, ის გარიყული დარჩებაო. აი ახლა,



ამიტომ, კავკასიის ს. დ. დეპუტატებს აკისრებს გაზეთი გლეხთა საკითხის გადაწყვეტას და ხალხს, თავის შვითხველ საზოგადოებას არწმუნებს, უჩვენდებუტატოდ რუსეთის სათათბირომ და თვით რუსეთის სოციალ-დემოკრატებმაც ვერაფერი ვერ გაარიგესო, მაგრამ ჩავლენ ისინი, და რევოლუცია სასურველ მიმდინარეობას მიიღებსო. აი რა მნიშვნელობა აქვს კავკასიელ სოციალ-დემოკრატულ პარტიას რუსეთისთვის...

მართალია, ზოგიერთი რუსი სოც.-დემოკრატი, სათათბიროს მოწვევის შემდეგ, აცხადებდა, კავკასიის ს.-დემოკრატ დეპუტატების ჩამოსვლას, საქმისთვის არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვსო, მაგრამ ასე არ ძეგლობს „ლამპარაი“ და ამით მას შემდგომადი შეჭავს ხალხი და ამოხრეველები, —მათი იგი პაადებს ილუზიებს, სჯორედ იმ ილუზიებს, როდესაც სხვებში სწუხობს. მას ემთხივა, ვაი თუ უიკუნოდ გაკეთდა საქმე, იცის კიდევ, რა, თუ საზოგადოდ გასაკეთებელია, უიპისოდაც გაკეთდება იგი, მაგრამ არ ტუდება და გაიძახის—ჩვენი დეპუტატები რომ ჩავლენ პეტერბურგში, მაშინ აგრარული საკითხი შესაფერად და ხალხს საკეთილდღეოდ გადაწყდებაო.

ფემტო და ოკლამაც ასეთი უნდა!

სგ. მ.—ქვალა

**რუსეთის სხომრამიზან**

უსამართლობისა, უკანონობისა და ძალმომრებობის კლასიკურ ქვეყანაში, —კურთხეულ რუსეთში, —ჩვენ ვერაფერი გავაკვირვების. მთელი ისტორია რუსეთისა არის ი. ტოროია პოლიტიკურ ავანტიურისხისა, სუსტ ქვეყნების მოპაოვისა, ხალხის ცაოცვა-გლეჯისა, ბიუროკრატის თვითნებობისა და ისეთ უკანონობა-ძალ მოძრებობისა, რომელსაც ოსალეთის სულთახიკი კი შურიტ შემკურებს. ჩვენ საკუთარ თვალთ ვხაათ უთაგალითო ავანტიუთა შორეულ აღმოსავლეთში, საკუთარ თვალთ ვხაათ ხალხის პიოველი შემშუფენა შარან შინვარს, სევასტოპოლისა და ოდესის აჯახყება, მოსკოვის ბარიკადები, საქართველოს ოხრება და ბალტიის მხარის აკლბა; ჩვენ კარგად გვახსოვს და არასდროს არ დავივიწყებთ ტოპოვს, დუბასოვს, ოლოვს, აღინახოვს, ტიმოფეევს, რენხენკამხს, ნეიდარტსა და დურხოვოს, რომელთა თავი ხსოვსა ცეხლის ასოებით არის აღბედილი ჩვენს გულში. ამ ხსოვნას ჩვენს მოძალ თაობას გადაეცემთ და ისევე ვიამყებთ 1905 — 1906 წლებით, როგორც ფრანგები ამაუბენ 1789, 1848 და 1871 წლებით. ჩვენ ყველაფერი გამოცადეთ, ჩვენ ყველაფერი ვხაათ, ჩვენ ყველაფერი გვსმენია, მაგრამ ის, რაც ხდება ოიგამი და ოაც მოუხდენია თარმან დეკემბერში მოსკოვს მათობლად პოლოკნიკ რიმანს, — დღედის გაგონილსა და ნახულს აღემატება. ჩვენ მშენიერად ვიცით, რომ ის, რაც მოხდა რიგასა და მოსკოვის მათობლად, დღესაც ხდება განუხომელ რუსეთის პირზე, რომ ასეთი ანბები შეიძლება შემდეგშიაც მოხდეს, შეიძლება ათასჯერ უარესიც მოხდეს, მაგრამ არ შეგვიძლიან წინდაწინვე არ გავაფრთხილოთ ხალხი და არ ვუთხრათ მას: „კარგად დაისწავლე ეს მათლითი, ღრმად აიბეკდე ხსოვნაში და არასდროს არ დავაიწყდეს ის, ვინც ასე აფასებს შენს სიოცხლეს, პიროვნებას და უფლებას!“

გაზეთ „რუს“-ის თანამშრომელმა ვლადიმიროვმა მიხნად გაიხადა მოსკოვისა და ბალტიის მხარის „დამშვიდების“ ისტორიის შესწავლა და მხედ შეუდგა საქმეს. მისი წერილები იბეჭდებოდა გაზეთებში და ეხლა ცალკე კრებულად გა-

მოვიდა. ეს კრებული არის სამინელი ისტორია ხალხის წამებისა, ჯვაოცისა და ინკვიზიციისა.

„ოიგამი სამი საინკვიზიციო ოთახია, — მოგვითხრობს ავტორი. სამივე ოთახში ხალხს აწამებენ. უფროსები საინკვიზიციო ოთახიდან შორეულ ოთახებში გადიან, უძროსები კი კახაკების დახმარებით დაშანაშავებს ჩვენებას აოთმევეს. სცემენ სასტიკად, სცემენ გულდასხით, სცემენ გაბოზებით... სცემენ მათოაებით, თოფის კონდახებით და რეზინის ჯოხებით. გარდა ამისა სპეციალურად მათთვის აქვთ თოკები, რომლებშიაც ჩანლაოთულია მათული. თუ დაშანაშავე არ გამოტუდა და ამხააგები არ დაასახელა, მქააბელი თვის გახთეულამხანაგს აყოამოვს პააყებს: თმას გლეკეს, იოაში მარილს აურიან, ელექტროხსაც იმკლიებენ“. კლადიმიროვი პირდაპირ ასახელებს იმ ადგილს, სადაც ეს აშენი ხდება და ი პიოებს, ოაელოთაც თაყის თავზე გამოსცადეს ანალოფორძის ჩვენების ჩათოთმევა. ზოგი ასეთი წამება დამტკიცებულია საპოობილეს ექიძის ხელის მოწყობით. ამას წინადა ოიგის სამხედრო სასამოთლომ მ კაცს სიკვდილი გადაუწყვიტა და რეზინე ისე სწრაფად დახვოიტეს, რომ გასახიერების ნებაც არ მისცეს. სასამოთლოში ცხადად დამტკიცდა, რომ მ კაცი სრკლიად უდანაშაულო იყო, მაგრამ სასამართლომ ამას, რასაკვიოველია, ყუოადლება არ მიაქციო, რადგან საქირო იყო წაყიის კკლის მოსაბა. ეხლა იგივე სასამოთლო არჩევს შნ კაცის აქმეს, რომელსაც ასეთი ისტორია აქვს: „შ ატიმთი ოიგის საპოობილეთი გაგხავს, პატიარეს მისდევდეს დაოაჯეი და მათ მოოის ტუკიისტუოცხელ ოოტის კაიბახს პავლოვსკი. პატიოები ელოქთი კი არ გაატოეს, აოამედ განათოა უთიებთა წაიყუანეს. თვარანი დამე იყო. თიუუეიულ მინდოხე რომ გავიდეს, შეყოდენ, კაპიტახმა პატიოებს უბრძახა, ცოდვები მოიხაიეთ და გამოტყდით, რომ „ხადეღის“ კახტოა თქვენ გაქურდეთო. იმათ უარი განაცხადეს, ჩვენ მაც საქმეში არ ვუოკიევაოთო. კაპიტახი დამეულო, თუ არ გამოტყდით, ყველას დაგბოცავთო დი ეოთ თათგანს — იოდისის — უთხრა, გაახე გადევი და მოიფიკოო. რამდახივე წუთის შემდეგ კაპიტახმა პკიოთა, გამოტყდები თუ არაო. იმახ ეოთხელ კიდევ გაიქეოა, უდანაშაულო ვაოო. კაპიტახმა სალდაათეს მისი დახეოეტის ბოთახეა მიაცა. იოდისი გახხე გაიყუანეს, თოფები დახალეს და დახვოიტეს. იოდისი იქვე მოკვდა. კაპიტახს ეგოხა, დახოჩხენები და მინდებიან და ყველაფერში გამოტყდებიანო, მაგრამ შეოოემ, ვინმე ბუშმანსაც, უარი სთქვა კაპიტახის თაოვაახე, აოაფეოი არ ვიცი და ვერავის დავისახელებთო. ბუშმანსაც თოფები დახალეს და იქვე დააწვიეს. კაპიტახმა ასანთი გაქკა, დახვრეტილები გასინჯა, ხომ არ სუნთქავენო და შემდეგ დახორჩხენეს მიუბრუნდა. დანარჩენები შემინდენ და შნ კაცი დასახელებს. კაპიტახის მოულოდნელად ბუშმანი გამოკოცხლდა და ერთი თვის შემდეგ სრულიად განიკურნა“.

ასეთი ვახლოავთ რუსეთის მართლმსაჯულება. მაგრამ ეს არაფერია შედარებით იმასთან, რაც ჩილდინა დაჯილდოვებულმა პოლოკნიკმა რიმანმა. მისმა საქციელმა იმდესად ააღლეოა საზოგადოება, რომ მის წინააღმდეგ აღსდგა თიოთან მხედრობა. სახედრო გაზეთი „ოიენი გოლოსი“ ასეთ წერილს უძღენის რიმანს: „თქვენ მოვმართავთ, პოლოკნიკო რიმან, —თავი გაიმართლეთ! ბრალსა გდებთ 1) იმაში, რომ 1905 წელს 16 დეკემბერს მოსკოვ-ყახახის რკინის გზაზე საღვურ პეროოვიში მოხვედით მატარებლით და სალდაათეს მოაკვლევინეთ საღვურის უფროსის თანაშემწე სეოგვი ორლოვსკი

იმ დროს, როცა ის კიბეზე აღიოდა. თქვენ არც ჩვენება ჩამოართვით მას, არც დანაშაული აუხსენით და არც გამოჰკითხეთ რ.მე. დაქრალი ორლოვსკა სალდათებმა თქვენ თვალწინ ხიშტებზე აავეს. 2) იმავე დღეს და იქვე თქვენ ოთახში მიიწვიეთ სადგურ პეროვს უფროსის მეორე თანაშემწე ალექსი ლარიონოვი და, როცა ოთახიდან გამოხვედით, ლარიონოვს უბრძანეთ, რომ თქვენ წამოგყოლოდა, რაიც მან შეასრულა. ცოტა ხნის შემდეგ იქვე კიბესთან მდგომ ოთხ სალდათს თქვენ უბრძანეთ: „ხიშტებზე აავეთ ეს კაცი!“ როცა ხიშტებით გაგმირული ლარიონოვი პლატფორმაზედ დაეცა, თქვენ საკუთარ ხელით რევოლვერი ესროლეთ მას საფეთქელში და მოჰკალით. 3) იმავე დღეს და იქვე თქვენ გასწორებულ რკინის გზის მოსამსახურე ივანე ოვოდოვი, რომელმაც ზრდილობიანად მოაპყრობა გთხოვათ. თქვენ იმის მოხუც დედას დაუხვირეთ: „ჩამომეცალე, ბებერო!“, მარცხენა ხელით მოხუცი მოიშორეთ, ხოლო მარჯვენა ხელით ოვოდოვს შუბლში რევოლვერი ესროლეთ და იქვე მოჰკალით. 4) 1905 წელს 17 დეკემბერს თქვენ ჩახვედით პოდოსინკის სადგურზე, გართ გამოიწვიეთ კანტორნიკი მიხელსონი და იქვე მოაკვლევინეთ. მასთან ერთად თქვენ მოაკვლევინეთ ორი რაზმელი და არც ერთს მათგანს ჩვენება არ ჩამოართვით, ბრალი არ დასდეთ და თავი არ ამართლებინეთ. 5) იმავე დღეს თქვენ დააპატიმრეთ სადგურ ლიუბერცის უფროსის თანაშემწე პ. სმირონოვი, რომელსაც გამოუცხადეთ, რომ მას სიკვდილი მოელოს. მეორე დღეს სმირონოვი წყლის აუზთან გაიყვანეთ და თქვენ თვითონვე მოჰკალით: ჯერ ესროლეთ პირისახეში, მერე კეფაში და მერე საფეთქელში. 6) 1905 წელს 18 დეკემბერს თქვენ მიხვედით სადგურ გოლუტეინოში. იქ დაგხვდათ გოლუტეინოს დეპოს მემანქანე ვარლამოვი, რომელმაც ლაპარაკის ნებართვა გთხოვათ, მაგრამ თქვენ პასუხად სალდათებს უბრძანეთ: „დახვრიტეთ ეს კაცი!“ თქვენი ბრძანება შესრულდა. 7) იმავე დღეს, ვარლამოვის დახვრეტის შემდეგ, თქვენ დაბრუნდით სადგურზე, სადაც შეგხვდათ მანჯურიიდან დაბრუნებული სათადარიგო სალდათი ილიჩევი, რომელსაც გამოელაპარაკეთ. თქვენი ლაპარაკი არავის გაუგონია, მაგრამ ლაპარაკის გათავების შემდეგ თქვენ დაუყვარეთ მას: „აბა გაბედეთ ვინაჲმ და ხმა ამოიღეთ! დაგხვრეტეთ!“ — და ილიჩევი საკუთარის ხელით მოკალით ოთხი ტყვიით. ჩვენ არას ვაშბობთ თქვენი მოქმედების ხასიათის შესახებ, რომელსაც შედეგად მოჰყვა 150 კაცის დახვრეტა, რომელთა შორის ორი კაცი — სტოპჩუკი და საპოკოვი — მათი ძმების მაგივრად შეცდომით დახვრიტეთ, მაგრამ ზემოხსენებული ბრალდებაც საკმარისია, რომ გითხრათ თქვენ, სამხედრო მუნდირში გამოწყობილ პოლკოვნიკს: პოლკოვნიკო რიშან! თქვენ გამტყუნებენ საჯაროდ იმაში, რომ თქვენ ერთად შეართეთ სამარცხვინო საქმე სამხედრო კაცისთვის: თქვენ ხართ უკანონო მოსმართლე და ჯალათი. თავი გაიმართლეთ!“

„თავი გაიმართლეთ!“ სწორედ რომ ლამაზი და მარილიანი სიტყვაა, მაგრამ რა ფასი აქვს ამ სიტყვას? რა ფასი აქვს დღეს, როცა რიგაში დახვრიტეს 6 უდანაშაულო კაცი, როცა სევასტოპოლში საქმის გარჩევამდის სიკვდილი გადაუწყვიტეს რამდენიმე უდანაშაულო მკირეწლოვანს, როცა სოველ დღე და ყოველ წუთს მთელ რუსეთში ათასი და ათი ათასი ასეთი უსამართლობა ხდება, როცა ტრებოვი, რიშანი, ორლოვი, ნეიდგარდტი, ალიხანოვი და რენენკამფა იმდენ ახალსაჩუქარს იღებენ, რამდენ უსამართლობასაც ჩაიდენდენ, რამდენ უდანაშაულოსაც დასჭრიან და დახვრეტავენ? არა! დღეს

ასეთ სიტყვას ფასი არა აქვს. არ ვიცით, რას უპასუხებს პოლკოვნიკი რიშანი, ან უპასუხებს თუ არა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ის ახალსაჩუქარს მიიღებს.

ხვალ თუ ზევ რიშანი დაინიშნება მის უდიდებულესობის ამაღლაში.

ბ.

ნ ა წ ე ვ ე ტ ი

იმას დევნიდა საუკუნოდ  
საუკუნემდე  
კიდითი კლდე სრა-სასახლე  
შეერთებული!..  
იმას დევნიდა თვით ტრაპეზი  
მისვე სახლით,  
ხან უმეცარი ბრბო ქუჩისა  
აზვირთებული!..

ხან ჯალათის წინ შებოქილი  
იღვა მდუმარედ,  
ეკლის გვირგვინით თხემ-შემკული,  
გულ განაწონი,  
ის ხან ჯვარს აცვებს, ხან ჩაქოლეს  
შეუბრალებლად,  
ხან გულუბრყვილოდ მას აუჯუნეს  
ცამდე კოკონი!..

მასვე განაგრძობს ბოროტების  
შთამომავლობა,  
იმას კვლავ დევნის უმადური  
კაცთ ნათესავი!  
ვერც მეფის, ვერცა მის მაგვართა  
უგრძნობელ გულში,—  
მან მხოლოდ ერთგან — ქოხის ქერ-ქვეშ  
მიაყრდნო თავი!..

აჰა, მტარვალნო, აწ მოიმკეთ  
შრომის ნაყოფი:  
ქოხი იფხიზლებს, მან აღმართა  
დროშა სიმართლის!..  
ძრწოდეთ ჯალათნო, წურბელებო,  
ქვეყნის მძარცველნო  
და გეშინოდეთ, ღამურებო,  
მარად სინათლის!..

დ. თომასშვილა

მოდგმა თანამედროვემ წინასწარმეტყველისა

მე ნარი ვგლიჯე, ეკალი,  
სხვამ კი მოიმკო სამკალი.  
სხვამ მოხნა ჩემი მამული,  
დაჩლუნგდა ჩემი ნამგალი.

მდინარე კაცსა არჩობდა,  
გონი მოჰხადა, წაიღო.  
გადვიქერ. . . გადავარჩინე...  
სხვამ-კი მადლობა მიიღო.

რ:და? იმიტომ, რომ სხვაში  
დ.სახა თავი მეშვლადა.  
იყვირ: „მე ვადვარჩინე!“  
დაჟინებია ქვეყნადა.  
მე ვსდუჰდი... ამიტომ მაღლი  
არვინ დასახა ჩემდა.

მთას დავედვენ ირმის ხროს,  
ყელამდე თოვლსა ვკვალავდი.  
ხარს დავკარ ქორბუდიანსა ..  
და იმ დროს, როცა ვწალავდი  
სხვებზე წამართვეს .. წაიღეს...  
კრემლებს ველარა ვმაღავდი...  
მივდევი... ვეჩხუბებოდი ..  
ამაოდ ყბებსა ვლაღავდი:  
ლემიც წაიღეს, ტყავიცა,  
იმათ ოჯახი ხარობდა.  
ჩემსას კი ჰკლავდა სიმშლი,  
მაგრამ არავინ ბრალობდა.

შარის პირს ბავშვი ვიპოვნე,  
უბატონოდა გდებული.  
სირცხვილის დასამალავად  
მშობლისგან მივიწყებული.  
იმ დროს მივასწარ, ჩვილს ყრმასა,  
ის იყო სული ჰხდებოდა.  
დედად მე ვექმენ: ვურე  
რაც ჩემგან შიძლეობდა.  
გავზარდე, დავავაჟაკე,  
ულვაშის გრეხა დაიწყო...  
ბოლოს კი როგორ გგონიათ?  
ლანძღვა და ცემა დამიწყო.

ქალი ტყვედ მტერსა მიჰყავდა,  
გულ-საკლავადა ჰკიოდა...  
ვუშველე, გამოვიხსენი  
ხმლითა მცეს სისხლი მდიოდა.  
რად აგატროთ იმის თქმით—  
წყლულები როგორ მტკიოდა?!...  
მხვეალს ჩავაცი, დავხურე,  
ვაქამე, —პური ჰშიოდა.  
გაცოცხლდა, გამხიარულდა,  
როგორცა ვარდი ჰღვიოდა.  
ვიშვილე, რადგან მულამ დღე,  
იგი ობლობას ჩიოდა.  
ერთის წლის შემდეგ რაც ვნახე,  
ნახულით კრემლი მცვიოდა.  
ბიქს ვისმე შეჰყვარებოდა  
პროშტს პროშტზე გადაიოიოდა.  
ყურს ვუგდებ, ეზურჩულება,  
სიტყვებს შარბათად მდინარსა  
ჩემზე: „ჩაეარჩოთ სულელი  
„და წყალსა მივცეთ მდინარსა.  
„მისი ქონება დავჩენება,  
„ერთად გავიჩენთ ბინასა;  
„შენ ქმარი იყავ, მე ცოლი,  
„სხვა რა აჯობებს იმასა?!“

ძმობილი მყვანდა ერთგული,  
ღმერთად მივანდი,—მიმაჩნდა,  
რას ვიფიქრებდი, თუ ისა  
ამ ვერაგობას იზამდა:  
ლამაზი ცოლი შეერთო,  
კეკლესი, რაღაც წიწინა...  
თუ მიცნო, წინ მომეგება,  
კიბეზე ჩამოიბრინა.  
„ჩემს ქმარს ძალიან უყვარხარ“,  
მითხრა ყველაზე წინ-წინა.  
მეც ხშირად ვიარებოდი  
ძმა — მეგობრობის წესითა.  
ბოლო ჟამს მეგობრის ცოლი  
მესაუბრება კენესთა  
და ერთელ ვითომ და-ძმურად  
ბევრი მიკრიქა — მიცინა.  
მე შევუბღვირე: რას შვრები?!  
ქალმა ეს ძლიერ იწყინა.  
სხვა ზნეობრივი კანონი  
მე გადავშალე მის წინა.  
ქალი გამიწყრა, წავიდა  
წასვლაში დაიქვითნა.  
ამ დღიდან ჩემს მეგობარსა  
ემშაკი აეკვიატა  
ჩემდამი მის სიძულილემ,  
ვხედავ, დღითი-დღე იმატა.  
ზიზლით მიცქერის, გამირბის  
როგორცა მგელსა ცხვარია.  
და დამეკეტა სამუდამოდ  
მეგობრის სახლის კარია.  
აღარცა მკითხავს მიზეზსა.  
თუ რისთვის გავაცხარია.  
მეკითხოს მაინც, ავუხსნა  
საქმის ავი და კარგია.  
მე არ მოგიკვდე, მეძახის:  
„აქედან დაიკარგია!“

სხვების გულისთვის გავტრტვლდი,  
ტანზე არ შემრჩა პერანგი  
ყოველდღე ტანჯვას მიმარჯვენს  
წუთისოფელი ვერავი.  
მად დავგმო წუთისოფელი?  
ყველა ეს ჩემი ბრალია:  
იმას ვაკეთებ, რასაცა  
მიჩენს გონების თვალთა.  
თავი მაქვს დავიწყებული  
ვრგებ მას, ვინც შესაწყალია.  
მზად ვარ ის მოვიმოქმედო,  
სხვას ვარგო, თავი ვაწამო.  
ფიქრობ სხვას ტრამლად დავედდა  
ვიქმნა მის წყლულის მალაპო.  
ამისთვის ცოლ-შვილი მწყევლის;  
გარეთ დამცინის ქვეყანა.  
„არ გიკვირსთ? რაებსა შვრება,  
„რამ გავაგიცა ნეტა რა?!“  
მედება ყოველ-მხრიდანა  
გმობის და წყევლის ბეგარა...

ყველასგან გულ-დაკოდილი  
 რა გზას დავადგე სავალად?  
 წინ დაბრკოლება ბევრი მაქვს,  
 ნარი — ეკალი მრავალად.  
 მაშ შევედრკე? ვწყველო და დავგმო,  
 რაც მომწონს, რაცა სჯობია?  
 თქვენ დაჰკმეთ, მე კი არ ძალ-მიძს,  
 კარგი რა დასავლობია?!  
 მოდით, წინ გადმომიდევით  
 მტკიცედ გაავლეთ ღობით.  
 იმას ვერ დამაშლევინებთ  
 რაც ჩემგან განაბჰობია.  
 თავ-განოდებულს ქცევასა  
 ნუ თუ სჯობ ტვიხის ობია?  
 დაე, მე მოვკვდე ოხრადა,  
 როგორც ნადირი ტყეშია;  
 თქვენ დარბაზებში სულს დალევთ  
 მოზარეების ხელშია.  
 რად ვავეწყებდებთ, მიწა ვართ  
 ბოლოს, ყოველი ღეწია.  
 სიმათლე მიყვარს, სიმათლე,  
 მიყვარს იმისი წესია.  
 არ მენანება იმიგან  
 რამდენიც დამიკვნესია  
 ვესწრაფი კეთილის ქმნასა,  
 გრძნობებიც გამილენსია.  
 შესაბრალებელს ვიბრალებ,  
 როგორც მიბრძანებს მესსია.  
 თქვენი კანონი თქვენ იცით,  
 ჩემი კანონი ესია.  
 ფასს დასდებს ბოლოს ქვეყანა  
 ვისაც რამ დავგითვისია.

ვაჭა ფშაველა

აბარაშული რეფორმები ირლანდიაში

ირლანდია ინგლისს მე-17-ს საუკუნეში შეუერთდა. იგი ოთხ საუკუნის განმავლობაში მედგოდ იბრძოდა ეროვნულ თავისუფლებისთვის, მაგრამ ბოლოს ძალიან სძლია სიმათლეს და მას აქეთ ირლანდიის ისტორია წარმოადგენს ეროვნულ თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიას. ეს ბრძოლა უფრო გააწვავა ირლანდიელთა და ინგლისელთა სარწმუნოების სხვა და სხვაობამ. ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა გადასწყვიტა კათოლიკე ირლანდიელების მონაწილე პარტესტანტებად, მაგრამ ირლანდიელებმა ასეთ ძალმომრეობას მტკიცე უარით გასცეს პასუხი, რასაც შედეგად მოჰყვა მრავალ ირლანდიელის განდევნა და მათი მიწების (200,000 დეს.) ჩამორთმევა ხაზინის სასარგებლოდ.

მას აქეთ ირლანდია გადაიქცა ინგლისის მეფეთა საკუთრებად, რომელნიც არაფერს არ ერიდებოდენ, ოღონდ ახალი მიწის ნაჭერი ჩავდნოთ ხელში. იაკობ I-მა საკუთრად ჩამოითარა რამდენიმე ასი ათასი დესეტინა და გამოაცხადა: ვინც ვერ დაამტკიცებს, რომ ესა და ეს მიწა მას ეკუთვნის, მას ეს მიწა ჩამოერთმევა და ინგლისის ხაზინას გადაეცემაო. ამ კანონმა ათას ირლანდიელ ოჯახს მოუხსო ცხოვრების სახსარი და ულუკმაპურად დასტოვა. ბოლოს მათ მოთმი-

ნებასაც ბოლო მოეღო. 1646 წელს ირლანდიელები აჯანყდნენ ონელის მეთაურობით და რამდენიმე ათასი პარტესტანტი მოჰკლეს. ინგლისმა მათი დამშვიდება მიანდო კრომველს, რომელმაც არაჩვეულებრივ სისასტიკითა და სიმხეცით მოულო ბოლო აჯანყებას. ირლანდიელებს ეს აჯანყება ძალიან ძვირად დაუჯდათ. კრომველმა აუარებელი ხალხი გასწყვიტა, ხოლო, ვინც გადარჩა, დაასხლა კონსაუტის პროვინციაში. დანარჩენი სამი პროვინცია ინგლისელებმა ერთმანეთში გაიყვეს.

მაგრამ ირლანდიის უბედურება ამით არ გათავდა. მე-17-ს საუკუნეში ირლანდიელები გამოეხარდნენ ინგლისის მეფეს იაკობ II-ს, რომელსაც ვილჰელმ ორანელი ეცილებოდა ტახტს. ირლანდიელები აქაც დამარცხდნენ: ინგლისელებმა 600,000 დესეტინა მიწა წაართვეს ირლანდიელებს და ხაზინას გადასცეს. ირლანდიელებს დარჩათ ირლანდიის მხოლოდ 1/11, დანარჩენი 10/11 გადავიდა ინგლისელების ხელში.

არც ეს აკმარეს მრავალ-ტანჯულ ირლანდიელებს. მათ აუკრძალეს მიწის ყიდვა და საკუთარ ქონების დაგირავება; თუ ირლანდიელს 1/2-ით მეტი შემოსდიოდა საიჯარო ფასზე, ინგლისელს ნება ჰქონდა მისთვის მიწა წაერთმია; ირლანდიელი ხელოსანი ინგლისელ ხელოსანზე მეტ გადასახადს იხდიდა; ირლანდიელს არ შეეძლო ინტენერად, მუხლავურად, ვეკილად და მოსამართლედ ყოფნა და სხ. იმ დრომდის ირლანდიელები ცხოვრობდნენ საქონლის მოვლა-მოშენებით და ინგლისში გაჰქონდათ ყველი, ერობა და სხ., მაგრამ ინგლისელებმა ესეც აუკრძალეს და ამით რამდენიმე ათასი ოჯახი ულუკმაპურად დასტოვეს. ირლანდიელებმა ცხვრის მოშენება დაიწყეს, მაგრამ ინგლისელებმა სატყლის გაზიდვა აუკრძალეს. ირლანდიელებმა გააშვეს შლის ქარხნები, მაგრამ ინგლისელებმა ისეთი დიდი ბაჟი დაუდვეს შალს, რომ ირლანდიელებმა ძალაუბერად ამათ ცავი დაიანებეს. მათვე დაიწყეს მუხლავურობა, მაგრამ ინგლისელებმა აკრძალეს იმათი გემებით საქონლის ზიდვა და ამით სიცოცხლის უკანასკნელი სახსარი მოუსპეს ირლანდიელებს, რომელთაც მხოლოდ ერთი საცხოვრებელი წყარო დარჩათ: მიწის ხვნა-თესვა და სასოფლო მეურნეობა.

მაგრამ მიწა ეკუთვნოდა ინგლისელებს, ღენდლორდებს, რომელნიც თვითონ ინგლისში ცხოვრობდნენ, მიწას კი მოიჯარადრებდნენ აძლევენ 21, 31 და 61 წლით. ესენი ამ მიწებს ჰყოფდნენ და სხვებს აძლევენ იჯარით. ისინიც ასე იქცეოდნენ: თავის წილს რამდენიმე ნაქრად აქუცმაცებდნენ და ირლანდიელ გლეხებს აძლევენ. გაქირავებული გლეხები ერთმანეთს ეცილებოდნენ და საიჯარო ფასს უმატებდნენ. საიჯარო ფული წლის თავზე უნდა შეეტანათ. გლეხების მდგომარეობა აუტანელი გახდა. მსხვილი ფერმერები, რომელთაც 50 დესეტინა ჰქონდათ აღებული იჯარით, მხოლოდ რძით და ქართოფილით იკვებებოდნენ და მუდმივ ყვლამდის ვალეში იყვნენ. ხშირად ღომხდარა, რომ მოუსაგლობისა გამო ირლანდიას საშინელი სტუმარი — შიმშილი სწევდია. დამშუფი და ვალის გამო უმიწოდ დარჩენილი გლეხები ყველაფერს თავს ანებებდნენ და უცხოეთში გარბოდნენ. 1847 წელი ირლანდიის ისტორიაში ცუცხლის ასოცებით არის ჩაწერილი. დამშუფი ხალხი ბალახით იკვებებოდა. ზოგი თავის სახლში კვდებოდა, ზოგი-მინდორში. სამი წლის განმავლობაში ირლანდიას დააკლდა 3 მილიონი მცხოვრები. ზოგი მათგანი დაიხოცა, ზოგი კი ამერიკაში გადაიხვეწა. უბედურობა ის იყო, რომ საძოვარი სახნავზე ძვირად ფასობდა. ამიტომ

ლენდლორდები სულ იმას ცდილობდნენ, რომ გლეხებისთვის სახნავი წყაროებით და სხვისთვის გადაეცათ საძოვრად. საქონელი გაძვირდა, საზაფხურად უმარაწყლოთა და გადასახლებულ გლეხთა რიცხვმა იმატა.

ასეთმა გაჭირვებამ, რასაკვირველია, წინააღმდეგობა გამოიწვია გლეხებში. ზოგნი თხოულობდნენ ისეთ კანონების გამოცემას, რომელნიც გაუშაძარ ლენდლორდებს მადას შეუსუსტებდა და საიჯარო ფასს დააწვიინებდა: ზოგნი გლეხებისთვის მიწის გამოსასყიდლად სესხს თხოულობდნენ, ზოგნი კი ამტკიცებდნენ, რომ უბედურობას ვერც სესხი მოსპობს და ვერც კანონები, საქაროა ლენდლორდების გარეჯვა და მიწის ჩამორთმევაო. ირლანდიელების ხსნა შეიძლო მხოლოდ ინგლისის პარლამენტს, მაგრამ 1831 წლამდის ირლანდიელებს უფლება არ ჰქონდათ კანონმდებლობაში მონაწილეობა მიეღოთ. მათ ნება ჰქონდათ დეპუტატებას აჩვენეს, მაგრამ კათოლიკეს არჩევა აკრძალული იყო. ამიტომ ირლანდიელებს ძალაუფლებურად ისევ თავიანთი მძარცველი ლენდლორდები უნდა აერჩიათ, რომელნიც, რასაკვირველია, ისევ თავიანთთვის იზრუნებდნენ და ოდნავდაც არ შეუშუბუქებდნენ ტანჯვას გლეხს. 1831 წელს ირლანდიელებსაც მიეცათ საარჩევნო უფლება, მაგრამ რას დახდებოდა ერთი მუქა ირლანდიელი დეპუტატი მძლავრ ლენდლორდებთან?

1846 წელს ქალაქ დუბლინში ირლანდიის ყოველ კუთხიდან ფერმერები შეიკრიბნენ, თავიანთ მდგომარეობაზე მოილაპარაკეს და დაადგინეს: საქაროა ისეთ განსაკუთრებულ კანონების გამოცემა, რომელნიც ლენდლორდების თვითნებობას ბოლოს მოუღებდნენ; საიჯარო ფასი უნდა დააწესონ ისეთმა შუამავლებმა, რომელნიც ამ საქმეში დანიტურესებულნი არ არიან; როცა მოიჯარადრე იჯარით აღებულ მიწას სხვას გადასცემს, მას ნება უნდა ჰქონდეს ახალ მოიჯარადრესაც სასყიდელი მიიღოს. ფერმერებმა განსაკუთრებული ლიგა დააარსეს და მიანდეს მას ყოველ საშუალების ხმარება, ოღონდ კი მათი დადგენილება პარლამენტს დაეკანონებია. 1852 წელს ლიგამ 50 დეპუტატი აირჩია ამ დეპუტატებმა დაწვრილებით გააცნეს ინგლისის პარლამენტს ირლანდიელ გლეხთა მდგომარეობა, მაგრამ ლენდლორდები მიინც ვერ გასტყბეს. გარდა ამისა მათ შორისაც უთანხმოება ჩამოვარდა, რის გამო თავიანთ მიზანს ვერ მიადწიეს და შესაფერი კანონები ვერ მოიპოვეს.

ფერმერთა ლიგა ლეგალურ, კანონიერ გზას ადგა და დარწმუნებული იყო, რომ იგი გაიმარჯვებდა, მაგრამ ირლანდიელთა შორის იყვენ ისეთი ელემენტებიც, რომელთაც კანონიერ გზისა და ინგლისის პარლამენტისა არა სწამდათ. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ირლანდიის ხსნა მხოლოდ დამოუკიდებელ და პოლიტიკურად თავისუფალ ირლანდიას შეუძლიან. ისინი ქადაგობდნენ ირლანდიის გამოყოფას ინგლისიდან, საკუთარ პარლამენტის შექმნას და ირლანდიის სრულ დამოუკიდებლობას. ამისთვის, მათს აზრით, საქაროა იყო ხალხის მომზადება, შეიარაღებული აჯანყება და ძალით მოპოვება თავისუფლებისა. ეს იდეა პირველად დაიბადა და განვითარდა ამერიკაში გადასახლებულ ირლანდიელთა შორის. გადასახლებულნი ამერიკაში კარგად მოეწყვენ, ეკონომიურად მოღონიერდნენ და თავისუფლად ცხოვრობდნენ, მაგრამ ირლანდიაში დარჩენილ დაჩაგრულ თანამემამულეებს მიინც არ იეწყებდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ მათ განათავისუფლებლად. მოკლე ხანში გადახვეწილებმა აუარებელი ფულა შეაკრავეს და შეიარაღებულ აჯანყების მომზადებას მოახმარეს. მაგრამ, მარტო ფულით აჯანყების მოხდენა არ შეი-

ძლებოდა, ამიტომაც ამერიკიდან ახალგაზრდა ირლანდიელები ათასობით გამოეშურნენ ირლანდიისაკენ. შეიარაღებულ აჯანყების მომხრეთ დაარქვეს ფინიები. მათი წინამძღოლობა და ბელადობა იკისრა ვინმე სტივენსმა, რომელმაც მთელი ირლანდია 4 ოლქად გაყო. თითო ოლქს ერთი პატარა რაიონებად იყო განაწილებული. თითო რაიონს განაგებდა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც რადენიმე კაცისგან შეისაგებოდა. კომიტეტის მოვალეობას შეადგენდა ჯგუფების შედგენა, ამ ჯგუფების ყველა წევრი დაძახებისთანავე შეიარაღებული უნდა მისროლიყო დანიშნულ ადგილზე. აჯანყება 1865 წელს იყო დანიშნული, მაგრამ ინგლისის მთავრობამ ყოველფერი გაიგო და მთავარი ბილადები დაატყუსადა. სტივენსმა თავს უშეგოა. ინგლისის მთავრობა სამი თეს განსაკუთრებულმა გათავისუფლებულმა სტივენსს. ირლანდიის ნაპირებზე განსაკუთრებული გემები დასკურავდნენ და ყველას თვალ-ყურს ადევნებდნენ. სტივენსი ამ დროს ირლანდიის დედა ქალაქ დუბლინში ცხოვრობდა. ბოლოს პოლიციამ სტივენსის ყველს მიაგნო და დააპატიმრა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ სახით-თო ბეგოსი ისევე წაივარდა ხელიდან. 1867 წელს ზამთარში აჯანყებამ იფეთქა, მაგრამ აჯანყებულნი დამარცხდნენ. ხალხი ამისთვის ჯერ არც მომზადებული იყო და არც შეიარაღებული. ამერიკელმა ფენიმ, აგნერალმა იყოიმ განიზრახა ქალაქ ჩესტერში არსენალის აღება, მაგრამ ინგლისის მთავრობამ ეს ამბავიც დროზე გაიგო და კელი დაატყაიმრა. გზაში სამი ფენი დაეცა დაარაჯეს და კელი გაათავისუფლეს. ამ ამბის გამო ინგლისელებმა სამი ფენი ჩამოახჩადეს. იმავე დროს ორმა ფენიმ თოფის წამოით ააფეთქა იმ საპარობოლის კუთვლი. სათავ მათი ამხანაგი იყო დამწყვიდოული. ამ აფეთქების დროს რამდენიმე კაცი მოკვდა და 100 დაიჭრა. ყოველ ასეთ მოქმედებას მოსთვრდა მკაცრი სასჯელი, მაგრამ ფენიები სასჯილს არ უშინდებოდნენ და მთავრად მიდიოდნენ ერთხელივ დასახულ მიზნისკენ. ბოლოს, როცა ინგლისის მთავრობამ რეპრესიებით ვერაფერი გააწყო, პარლამენტმა გამოსცა განსაკუთრებული კანონი, რომელსაც ფერმერთა მდგომარეობა და გაჭირვება უნდა შეიშოებოდა, მაგრამ ამ კანონმა თითქმის არავითარი სარგებლობა არ მოუტანა ირლანდიელებს.

ამ ხანებში ირლანდიაში სასოფლო მეურნეობა მკრად დაბალ საფეხორზე იდგა მეურნეობის განვითარებაზე, ტიხნიკურ გაუმჯობესობაზე არავინ ფიქრობდა. მიწის პატრონი ლენდლორდი შორს იყო, მოიჯარადრე მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ რაც შეიძლება მეტი საიჯარო ფასი აეღო, ფერმერი კი დარწმუნებული არ იყო, რომ ერთი წლის შემდეგ მის ნაშრომს არ ჩამოართმევდნენ, და ამიტომ ტიხნიკურ გაუმჯობესობაზე სრულიად არ ფიქრობდა. გარდა ამისა ფერმერი იმდენად ღარიბი იყო, რომ მას მანქანების შექმნა სიზმრადაც არ მოეჩვენებოდა. სიღატაკე, შიმშილი, სახლების დაწვა, ხალხის ხოცვა და ათასი ბოროტ-მოქმედება მუდმივი და ჩვეულებრივი მოვლენა იყო ირლანდიაში.

1870 წელს ინგლისის პარლამენტმა პირველი ნაბიჯი გადასდგა და ისეთი კანონი გამოსცა, რომლის ძალით მემამულეს ნება არ ჰქონდა უპიზნოდ მიწა წაერთმია მოიჯარადრე ფერმერისთვის. თუ მემამულე მოიჯარადრეს დაიპაბოვდა, მოვალე იყო მისთვის გადაეხადა იმ მიწის ფასი, რომელიც ფერმერმა მოანდომა მიწის გაუმჯობესობას. კანონმდებლებს იმედი ჰქონდათ, რომ ამი შემდეგ ფერმერები მუშაობას შეუდგებოდნენ და მეურნეობას წინ წასწევდნენ, მაგრამ მოტყუვდნენ. 10 წლის განმავლობაში ფერმერებმა 6000-ჯერ უჩი-

გლეს ლენდლორდებს უმიხეზოდ მიწის წარმევისთვის, მაგრამ 6000-დან მხოლოდ 2000-მა ფერმერმა გაიძარჯჯა. არც მეორენობამ წაიწია წინ. გლეხმა კარგად იცოდა, რომ, თუ იშრომებდა და მიწის შემოსავალს ასწევდა, მემამულეც იჯარის ფასს მოუპატვრებდა და ფერმერს ნაშრომს ხელიდან გამოაცილიდა.

1877 წლიდან დაიწყო მოუსაველობა, 1876 წელს ირლანდიიდან გადაიხვეწა 1186 კაცი, ხოლო 1879 წელს — 2508. გაქირავებული ფერმერები ხელმეორედ შეკავშირდნ და დააარსეს მიწის ლიგა განთქმულ დევიტის მეთაურობით\*). პატარაობისას დევიტი და მისი მშობლები სახლიდან გამოავდნ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ვერ მოახერხეს და მემამულეს საიჯარო ფული ვერ გადაუხადეს. დევიტის ოჯახი ლივერპულში გადასახლდა. იქ პატარა დევიტმა ქარხანაში იშოვა სამუშაო, მაგრამ მალე მანქანამ ხელი მოსწყვიტა ღისიც იძულებული გახდა მუშაობისთვის თავი დაენებებინა. ამავე დროს ფენიების მოძრაობაც დაიწყო ღ ახალგაზდა დევიტიც ირლანდიისკენ გაეშურა. იარაღის შეტანისთვის ირლანდიაში სასამართლომ დევიტს 15 წლის კატორგა გადაუწყვიტა. იქ, საპრობილეში, დევიტი იმ დასვენამდის მივიდა, რომ ირლანდიას უშველის მიწა და არა და მოუკიდლობა. საქირო იყო ჯერ მიწის შოვნა და მერე დამოუკიდებლობაზე ფიქრი.

საპრობილედან დევიტი შემუშავებულ სამოქმედო გეგმით გამოვიდა და მაშინვე საქმეს შეუდგა. მიწის კავშირს მიზნად ჰქონდა საიჯარო ფასების დაწვეა და მიწის ვადაცემა გლეხთა ხელში. ერთი წლის განმავლობაში მთელი ირლანდია ამ ლიგას შეუერთდა დევიტის მიერ დაარსებულ ლიგას მეთაურად დაუდგა ყველასი საყვარელი, განთქმული და პატივცემული პარნელი, რომელიც მაშინვე გაემგზავრა ამერიკაში, სადაც იქაურ ირლანდიელთა შორის პროპაგანდა დაიწყო და ორ თვეში 70,000 თუმანი შეაგროვა. ბრძოლა გაცხარდა და გაცხოველდა. გაჩნდა ახალი და ამ ემად ყველგან განთქმული იარაღი — ბოიკოტი, რომელმაც ხელფები შეშუკრა ურრ მემამულეებსა და მოიჯარადრეებს. ნემამულეებმა ერთი ალოაქოთი ასტეხეს და მთელი ირლანდია პოლიციელებით აავსეს. დაიწყო რებრესიები. დევიტი და მრავალი ხელმძღვანელი მოქრაობისა დაპატიმრეს. მაგრამ ამან გლეხები უფრო გააბრაზა. ბოლოს მთავრობამ დაუთმო და 1881 წ. ახალი კანონი გამოსცა.

ეს კანონი იმაში მდკომარეობდა, რომ საიჯარო ფასის რაოდენობა უნდა დაეწესებინა სასამართლოს. მემამულისა და მოიჯარადრის ხელშეკრულობას ძალა არ ჰქონდა, თუ იგი სასამართლოგან არ იყო დამტკიცებული. სასამართლო დაწვრილებით იკვლევდა მიწის ღირებულობს, მოსავლიანობას, ხარჯს და შედეგ სწყვეტდა საიჯარო ფასის რაოდენობას, რომელიც 15 წლის განმავლობაში არ უნდა შეცვლილიყო. ლენდლორდს ნება, არ ჰქონდა მოიჯარადრე დაეთხოვა, თუ მას საიჯარო ფული დროზე შექქონდა ფერმერს არ შეეძლო ფერმის ნაწილი სხვისთვის გადაეცა, მას შეეძლო მთელი ფერმა დაეთმო სხვისთვის, და, თუ დამტკიცდ ბოდა, რომ, მან იჯარით აღებულა მანა გააუმჯობესა და ნაყოფი არ აიღო, ასეთ შემთავებაში მემამულე მოვალე იყო ფერმერისთვის დაწახარჯი გადაეხადა.

მაგრამ კანონმაც ვერ უშველა რა ფერმერებს. ლენდლორდები იმ ფერმერებს, რომელთაც დროზე ვერ შექქონდათ საიჯარო გადასახალი, ფერმას ართმევდნ. 1881 წელს 17

\*) დევიტი გარდაიცვალა წრეულს, მისისს გასულს.

ათასი ფერმერი უსახლკაროდ დარჩა. პარნელი მხნედ ეწეოდა აგიტაციას და ხალხს ურჩევდა ბოიკოტის გაგრძელებას. მთავრობამ მიწის ლიგა მისხო და პარნელი დაპატიმრა. ამან ისე ააღელვა ირლანდია, რომ გლეხებმა პროტესტის გამოსაცხადებლად პირი შექქეს, გაუცკა მოახდინეს და უარი სთქვეს საიჯარო ფულის გადახდაზე. ბრძოლამ 6 თვე გასტანა. ბოლოს მთავრობამ ამაშიაც დ უთმო ირლანდიელებს, გლადსტონმა მოციქული გაუგზავნა საპრობილეში პარნელს და ჰკითხა, რა პირობებით დამეხმარებით ირლანდიელთა დამშვიდებაში. პარნელმა მოსთხოვა დევიტის განთავისუფლება, ირლანდიის მთავარმართებლის გამოცვლა და უზრუნველყოფა იმ ფერმერებისა, რომელთაც საიჯარო ფული ვერ გადახადესო. გლადსტონი დათანამდა და პარნელიც განთავისუფლეს.

წინანდელ მთავარმართებლის მაგივრად დანიშნეს გულკეთილი და წყნარი ღორდი კვენდიში, რომელიც დუბლინში მისვლისთანავე შეცდომით მოქლეს ფენიებმა. ინგლისმა გზას გადაუხვია და რებრესიებს მიჰყო ხელი. პოლიციას უფლება მიეცა ხალხის უსახუთოდ დაპატიმრებისა, სასამართლოს ნება ჰქონდა მხოლოდ ეკვით ბრალდებული გაემტყუნებია. ამან უარესად გააბრაზა ირლანდიელები. სამი წლის განმავლობაში სასამართლოც და ფენიებიც გაცხარებით მუშაობდნ. სასამართლო ს სტიკად სჯიდა ბრალდებულთ: კატორგაში გზავნიდა, დიდი ხნით აპატიმრებდა და ახრჩობდა. ფენიები რებრესიებმა ვერ შეაშინეს და მკვლელობას მკვლელობა მოსდევდა. პარნელი ირლანდიაში დადიოდა, აგიტაციას ეწეოდა და ხალხს აქეზებდა. მთავრობის მიერ დახურულ „მიწის ლიგის“ მაგივრად მან დააარსა ახალი „ეროვნული ლიგა“.

1887 წელს პარლამენტმა გამოსცა ახალი კანონი, რომელიც ფერმერებს ნებას აძლევდა ხელშეკრულობა გადაესინჯათ და საიჯარო ფასის დაკლება მოეთხოვათ. ასეთ ფერმერთა რიცხვი 1881 წელს 540, 000-ს უდრიდა. 1892 წლამდის ხელმორედ გადასინჯეს 338, 000 საიჯარო ხელშეკრულობა და საშუალოდ 20<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ით დასწიეს საიჯარო ფასი. 15 წლის შემდეგ ხელმორედ შეუდგნ საიჯარო ფასების გადასინჯვას და კიდევ დასწიეს 20<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ით. ამ რიგად ამ ხნის განმავლობაში საიჯარო ფასმა 40<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ით იკლო. მაგრამ ირლანდიის დებუტატები ამით არ დაკმაყოფილდნ და ახალი კანონები მოითხოვეს ფერმერთა სასარგებლოდ.

მთავრობა სხვა გზითაც ცდილობდა ირლანდიელ გლეხთა მძიმე ხვედრის შემსუბუქებას. 1885 წელს პარლამენტმა 50 მილიონი მანეთი გადასდო ირლანდიელ გლეხებისთვის. დაარსდა ბანკი, რომელიც ლენდლორდებისაგან მიწას ყიდულობდა და გლეხებს აძლევდა. გლეხი მოვალე იყო ყოველ წელს თითო ას მანეთზე გადაეხადა სამი მანეთი სარგებელი და ერთი მანეთი თავნი ვალის დასაფარავად. 49 წლის შემდეგ ნაყიდი მიწა გლეხის საკუთრებად რებორა. იმავე წელს დაარსებულ იქნა რამდენიმე სხვა ბანკი, რომელნიც აუარებელ მიწას ყიდულობდნ და გლეხებს აძლევდნ შეღავათიან ფასებით. 1903 წლამდის 70000 გლეხმა მიიღო მიწა, რომელიც 200 მილიონ მანეთად ღირდა. ამ რეფორმას ის მოჰყვა, რომ მესაკუთრე გლეხთა მდკომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა, მოიჯარადრენი კი ისევ წინანდელ გაქირავებაში დარჩნ. იმ ხნებში ირლანდიაში იყო 490,000 ოჯახი, რომელიც მწიფთ ცხოვრობდა. აქედან 1901 წელს მხოლოდ 138000 ოჯახს ჰქონდა <sup>1</sup>/<sub>3</sub> დესეუნისა, ოჯახის გამოსაკვებათ კი საშუალოდ საქირო იყო ათი დესეტინა.

1903 წელს ირლანდიის მინისტრმა უინდგემმა პარლამენტში ახალი კანონპროექტი შეიტანა. უინდგემი თხოულობდა ირლანდიელ გლეხებისთვის ათას მილიონ მანეთს მიწების შესასყიდად. ეს ფული ინგლისის ხაზინას ნაწილ-ნაწილად უნდა მიეცა ირლანდიისთვის. გლეხი ყოველ წელს იხდის აღებულ ვალის სარგებელს და თავს ვალის ნაწილს. იმავე წელს პარლამენტმა ეს კანონპროექტი მიიღო. იგი გლეხებისთვისაც ხელსაყრელი იყო, რადგან ახალ კანონის ძალით გლეხი, ჯერ ერთი, ყოველ წელს იჯარაზე ნაკლებს იხდიდა და მეორე-ბოლოს მიწა იმის საკუთრებად ხდებოდა. ეს რეფორმა მხოლოდ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში განხორციელდება სავსებით, მაგრამ, შედარებით იმასთან, რაც იყო რამდენიმე ათი წლის წინად, უინდგემის გეგმა შესამჩნევ წინსვლულობის მოპასუფებელია

ა.

დ ა ბ რ უ ნ დ ა!

(შემდეგი, „ივ.“ № 14).

მზე მთის იქით გადაესვენა და მთლად მიიმალა. ბუნებამ ისევ თავსი ფერი მიიღო. სამუშაო დღე თავდებოდა. საქონელმა, ფრინველმა. ადამიანმა თავ-თავის ბინას მიაშურა.

მალღობიდან მოისმა ზარის რეკა, რომელიც შორს სივრცეში გაიფანტა და ხალხს კვირა ღამის დადგომა აუწყა.

საღდათს გრილი ნიაგი გახურებულ სახეში სცემდა, უგრძობდა, მაგრამ ის არაფერს გრძობდა. ერთ სურვილს შეიპყრო მისი არსება და ერთს ჰფიქრობდა, — სახლში მალე მისულიყო.

რა უბედურება მოეცა სახლში? უცოდინარობა უარესად სტანჯავდა მის გულს.

— ღმერთო, ოღონდ ისეთი არა იყოს რა! — გრძობით წარმოსთქვა და ზეცაში აიხედა.

აგერ მისი სახლიც გამოჩნდა. გაშვებულნი, კარგად მოზრდილი ძეგლები სახლი, ქუჩებიანი მცნგრეულ-მონგრეულ აივანით და უსწორ მასწორობა, ნავითა და ნაფურცებითა საესე ეზო დაღვრემილად გამოიყურებოდა. ეზოში რამდენიმე ბატს წაეგრძელებინა კისერი და უზო-უკვლოდ დახეტიალობდა. მიწაში აზოგანგულნი, შავი, გამდარი ღორი დინჯით მიწას გაშმაგებულნი სთხრიდა და დროგაშოშვებით ხმა მალდა ღრუტუნებდა. რამდენიმე დეკელი და ხბო ბოსლის კარგნს მოსდგომოდა და მოთმინებით უცდიდა, კარებს როდის გაუღებდნენ.

საღდათს გული აუჩუყდა და თვალში ცრემლი მოერია. რა ბედნიერი იქნებოდა, რომ ეს წუთები არაფრით მოშხამოდა! ახლა კი იდგა თვალ ცრემლიანი, შეჭყურებდა გაშვებულ სახლს, სადაც დაიბადა, არე-მარეს, სადაც გაიზარდა, ხეებსაჲდა ბუჩქებს — მის ოცი წლის თანამგზავრთ — და ადგილიდან ვერ დაძრულიყო, თიოქის აქედანვე უნდოდა გაეგო რა, უბედურება მოელოდა მის სახლში.

კარები ქრიალით გაიღო, კარში გამოვარდა პატარა გოგო და გაქცევა დააპირა, მაგრამ უცნობი კაცი დაინახა და შეჩერდა, კარგა ხანს უყურა, შემდეგ შეჭკვილა და დაფეთებული სახლში შევარდა.

საღდათმა კიდევაც მიატანა სახლის კარებს და მძიმე შეგებში ჩაცმული ქალი, რომლის სახეს თვალი ოდნავ მოჰკრა, წვილით კისერზე შემოექნა.

სახლიდან გამოვიარდნილმა პატარა ძიღმა უცნობის დანახვაზე წვრილის ხმით წკაე-წკაევი მორაო. მის მისცეს ხანი მეზობლის ძაღლებმა.

დღეა ქვითინებდა, ჰკოცნიდა, გულში იკრავდა შეიღის და რალაცა სიტყვებს ამბობდა.

— მამააა, მა-მა, მიხა მოვიდა, მიხაი! — ეწინაზე გადმოდგარიყო და წვრილის ხმით გაჰკოდა 7 — 8 წლის გოგო.

პატარა ხანს უკან მხარზე ბარ-გადადებულნი ეწინაის ღობეზე გადმოხტა გლეხი, რომელსაც გქელი ქალბარა თმა ისე გაზრდოდა და სახეზე მოსდებოდა, რომ გამხდარი, წყლიანი თვალეები ღა უჩანდა. მიაბიჯებდა დინჯად, კისერი მაღლა აეღო და ჩახუტებულ დადაშვილს თვალს არ აშორებდა. საღდათს რომ მიუახლოვდა, გადაეხვია და რამდენჯერმე აკოცა, შემდეგ აღელვებული, ამალვებულის ხმით ცოლს მიუბრუნდა:

— გაჩუმიდი, ადამიანო, ამ დღეს მაინც ნუ გამიმწ... — სიტყვა ველარ დაათვა, გვერდზე გატრიალდა და ჩოხის კალთა თვალბზე მიიფარა.

საღდათი მიხედა, რომ ოჯახში ვიღაცა მოუკვდა, ვინ? არ იცოდა. ამღვრეულის თვალებით უყურებდა ხან დედას, ხან მამს და ელოდა, როდის გააგებინებდნენ უბედურობის მიზეზს.

ეზო ქალებითა და ბავშვებით გაივსო. ბავშვები ათვალერებდნენ საღდათის ტანისამოსს და შურის თვალთ შესცქეროდნენ ბჭყვრილა ლილებს. ქალებს პატარა ბავშვები აფრიათ იღლიაში, თავს აქნევდნენ და თავისთვის რალაცას ბუტბუტებდნენ.

— ვინ? ვინ მოუკვდა?

დღეა აქ იყო, მამა, პატარა ძმები, დები... საღდათი უცხად შეერთა, აათვალ ჩათვალთვალთა ყველანი და ხმა-მალდა წამოიძახა:

— ლექსა სად არის?

პასუხს ნაცვლად საღდათს საერთო ქვითინი მოესმა. მამა გვერდზე მიმდგარიყო და მწარე ქვითინება მეზობლის ქალები შიგ თვალბში შესცქეროდნენ საღდათს, სახე საზარლად დაღმეკრდათ და თვალებიდან ღაპა-ღუპით ცრემლები გადმოსდიოდათ.

საღდათი მიხედა საზარელ სინამდვილეს, მუწლები ჩაეკეცა, გული მიღლია და სახლის კიბეზე დაეშვა.

დღეა მისი შემის კენძზე იჯდა, თავშალი მოველიჯა, გაქალბარებულნი თმა გაეშალა და მოთქმით სტროდა:

— რა ვიცოდი მე, საწყალმა, თუ ჩემს მიხას ტირილითა და თავში ცემით შეგვებდებოდა... რა ვიცოდი, თუ ერთს შეიღის რომ ვიპოვნიდი, მეორეს დაკარგავდი მე უბედური... ლექსა, შეილოოო, რატომ არ გაიხარებ ჩვენთან ერთად შენი საყვარელი ძმის მოსვლითააო, შეილოო... ჩვენ ვხა... რობთ მი...ხას ნა...ხვით, შენ კი ცივსა...მა...რე...ში წევ... ხარ სალ...და...თების შტიკებით დახვრეტლიიი, შეილოოო! ყოველ ფრზაზე, ყოველ სიტყვაზე გარს-შემოხვეული ქალები ქვითინებდნენ და ცრემლებს იწმენდნენ.

დღის მოთქმა, ქალების უ იამონ ბანი, საზარელი, გულსაკლავი სიტყვები გოჯახეთურ მუსიკად ესმოდა ყურში საღდათს და სახე უფრო გააფრთხებულ ნადირს მიუგვდა, ვიდრე მწუხარე ადამიანს. კარგად ვერ წარმოედგინა, რა ხდებოდა მის გარშემო. ერთი სურვილი ღა ჰქონდა, აღარ გაეგონა დედის საზარელი ხმა, არ დაენახა ტანჯვისაჲან დამახინჯებულნი მისი სახე, საღეე გადავარდნილიყო, მაშორებოდა ამ უსიამოვნო გოლის მტანჯავ ბანს.

ტიოილისგან დაოსებული დღეა გაყურდა, კისერი გვერდზე გადაუვარდა, ერთს წერტილს მსჩგრებოდა, თითქოს იქ თავის ლექსას ჰხედავს და ახლა სიტყვიერად განავძობდა:

— ალარა გვყავს შვილი ლექსაი. ზამიკლეს შვილი, შტიკებით დამხებრიტის. არ შვიბრალეს, შვილო, არც იმისი სილამაზე, არც სიამაფილოე. არც ვაჟ-კაცობა. არ დაინდეს ჩვენი სიღარიბე, სვენი მოზუტეებულობა, ვაი მე უბედურს, ვაი ჩაქოლივლეს!

ტირილი შესწყდა. ხმას ათარავინ არ იღებდა. პატარა ხანს უკან ქალები აქეთ-იქიდან შეუსხდენ გვირდში ქირისუჯალს ჭ დასუსტებული, მიმკვადრეული ოთახში შეიყვანის თან შიკვეენ დანაჩენი ქალობიკ. დარჩენ მიხას რამდენიმე ბიძაშვილი და მეზობელი მამაკაცები, რომლებიც მოსულიყვენ მის სანახავად და, ტირილი რომ გავეღნათ, შორი ახლოს გაჩერებულიყვენ, ხელები მუცელზე დაეწყეთ და თავები ჩაქეინდრათ.

ისინი მივიდენ სათითაოდ მიხასთან და ხელი გაუწოდეს. მიხამ ყველას ჩამოართვა ხელი, ხოლო ხმა არავისთვის გაუცია.

მეზობლები ჩამოსხდენ ზოგი შეშებზე. ზოგიც კიბეზე და სიჩუმეს არ არღვევდენ. კარგა ხნის შემდეგ მიხამ აიღო თავი და იკითხა:

— მითხარით ერთი, ეს რა უბედურობა დაგვატყდა თავზე? რა ნაირად მოხდა?

ერთმა შუა ხნის წვერმოზარსულმა გლენმა მიიხედ-მოიხედა, ნახა. რომ პასუხს არავინ აძლევდა, და თავჩალუნულმა დაბალის ხმით წარმოსთქვა:

— სოფლის ბოლოზე მოჰკოეს. მიდიოდა თურმე, თავისთვის, ამ დროს გამოჩნდენ კახაკები და სალდათები, რომლებსაც წინ ერთი აქაური სტრაჟენიკი მოუძღოდა. სტრაჟენიკს დაუძახნია: აი, ეს კაცი რაზეში იყო, მე კარგად ვიცნობო. სალდათები გამოჰკიდებინან, ლექსა გაქეიულა. მიუყოლებიათ თოფები. ერთი ტყვია მოჰხვედრია ბეჭში და იქვე დაკეზულა. შემდეგ მისულან და წაქეულასთვის კიდევ რამდენიმე თოფი დაუხლიათ. ისე იყო ტყვიებით, შტიკით და ხმლებით დახვრეტლ-დაჩეილი, რომ ცხედარს ვეღარ იცნობდი! — და ამოავრა იმან და თავი ჩაჰკიდა.

— რა უნდათ აქ კახაკებს და სალდათებს? — იკითხა სალდათმა და მოსაუბრის თვალღებში ჩაიკეიდა.

— ერთობა უნდა მოეპოოთო! — აქ ხომ ეკთი ამბავი იყო. ყველა ერთობას გაიძახოდა და აღარც მთავრობა და არც თავად-აზნაურობა ახლო აღარ გაიკარათ. მამასახლისი გადავაყენეთ. მასწავლებელი გავაძვეეთ, ამოვარჩიეთ ასისა და ათის თავები, აღარ ვიხილით აღარც სახელმწიფო ვადასა. ხადებს და აღარც ლალებს. ქვეყანა ასე წადიოდა, და ჩვენც ასე მოვიქცეთო. კარგა ხანს ვიყავით ასე, ხმას არავინ არ გვიქმნდა. ბოლოს, გავხედეთ, ერთ ღღეს შემოგვეია ჯარი. შენს მტერს, რაც ჩვენ ღღე დაგვადგა. მთელი სოფელი გაძარცვეს, ვისაც რამე ნივთი ან ფული ჰქონდა, აღარაფერი შეარჩინეს, ქალებს ნაშუხი აგვიხადეს. ერთი ათი ქალი მივიც იწვა ქვეშაგებში მძიმე ავადმყოფი. ხოლო ნარეკადის ქალს წყაროზე მოასწრეს, ათი კაცი მეტი დახვეოდა... ცოცხალ-მკვდარი ამოვიყვანეთ სახლში. ახლა ყველა გარდასახადები ერთად მოკვებოვს. ერთს სი ჯყვით ჩვენს სოფელს სოფელი აღარ ჰქვიან, ისე ავადინეს მტერი. ახლა არ გვანებებენ თავს — კირაში ერთხელ ან ორჯელ მოვლენ ოცი-ოცდაათი კაცი და მთელს სოფელს დაარბევენ ხოლმე. საბუდრიდან კრუხებს იყვანენ და მიაქვთ თანა. მოჰკოეს კიდევ ტიტოს ბიჭი, თედოს ბიჭი დაიკარეს და გადაჰკარგეს. პაატას ისე სცემეს, რომ ახლაც სისხლს აქცევს. ახლა შიშით რამდენი გახდა ავად. ახლა რამდენია გაციებული, ორი ღღე და ღამე ტყეში რომ გეყარნით! ვინ მოსთვის ყველა ამასა!.. — დამთავრა გლენმა და გაჩუმდა.

სიჩუმეს არავინ არღვევდა, ყველა ხელ-მეორედ განიცდიდა იმ საზარელ ამბებს. რომლის მოწმენიკ იყვენ, მხოლოდ მიხას სხვა გვარი ფიქრები უტრიალებდა თავში, სხვა რამ აწუხებდა...

ს. კ. ვიფიანა.

(დასასრული იქნება).

რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი  
გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.

# განცხადებანი

**ფოთის სავაშო ზიზნაზია აცხადებს,** რომ 1 სექტემბრიდან 1906 წ. იხსნება მოსამზადებელი, პირველი და მეორე კლასები. მესამე კლასის გახსნა მსურველთა რაოდენობაზე დამოკიდებული. მოწაფეთა მისაღები გამოცდა (ეგზემენი) მოხდება 5 და 6 ივნისს, აგრეთვე აგვისტოს დამღვეს. მოსამზადებელ კლასში მიიღებიან 8—10 წლის ყმაწვილები, პირველ კლასში—10—12 წლისა და ასე ზევით. თხოვნები ბავშვების მიღებაზე სავგზავენოდ მიიღება ფოთის ქალაქის გამგეობაში ფოთის სავაშო გიმნაზიის დირექტორის სახელზე. თხოვნასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქნას მოწმობები: მეტრიკული, შესახებ წოდებისა და ყვავილის ატრისა. დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი (3—3)

ს. ი. აბუჯაფია.

## განცხადებანი 129 მხვევითა პოლკი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში კურსის 79 ქვევითა პოლკის ეზოში ამა წლის 9 ივნისს, დღის 10 საათზე საჯარო აუქციონით გაიყიდება 33 ქვევითა დივიზიის ტყვიის მტყორცნელ როტის ზედმეტი 29 ცენი. (2—2)



## მოითხოვით ნამდვილი

„მოდერნი“ მ. პ. ლეშეძევისა

ეს წამალი სრულიად აკრობს რამდენსამე ღღეში ძვილს ბებრას ჭ მეტ-ბოცს ძირიან-ფისვიანად, მხოლოდ ეტი იტი უნდა ჰქონდეს მთავრობისგან დამტკიცებული, № 22437.

იყიდება ტფილისში — საფთაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (წლ.)

## რკინის გზით მგზავრ ქართველ მკითხველთა საყურადღებოდ.

დაიბეჭდა და ისყიდება საღებურ მიხაილოვის ბილეთის კასაში სანტერესო ახალი თანამედროვე რომანი ორ ნაწილად.

## ცხ პრეა და იცვარული

წიგნი დიდი ზომისაა. დაწერილია ღღეველდელ კითხებზე, ცოლ-ქმრის კავშირზე და სქესობრივ დამოკიდებულებებზე. დაბეჭდილია სუფთად, მშვენიერის კანით, მაგრა შეკერილი, შეიცავს 350 გვერდს და ღირს მხოლოდ ორი აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „Цодна“. Ст. Михайлово, первому билетному кассиру Чархишвили. (10—5)